№ 2654
პარასკევი,
29 ოქტომბერი

ც ს რცელი

№ 2654
პარასკევი,
29 ოქტომბერი

გაზეთი ღირს: წლიწად —6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებ. ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 373.

ქ. ქუთაისში, შაბათს, 30 ოქტომბერს, გადახდილ იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი საფიჩხიის ეკკლესიაში

თავად იასონ აბაშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის ცოლი და შვილები. (3—361—3)

ქართული წარმოდგენა. „ტფილისის სობრანიე".
შაბათს, 30 ოქტომბერს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
I
პედაგოგები
კომედ. 3 მოქ., თხზ. ერნსტისა, თარგ. დ. ნახუცრიშვილისა.
II
დარისპანის გასაჭირი
სცენები 1 მოქ. თხზ. დ. კლდიაშვილისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი
რეჟისორი ვ. აბაშიძე
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (3—უ—1)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
პარასკევს, 29 ოქტომბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „ნერონი" ოპერა 4 მოქ., მუს. რუბინშტეინისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ფიკშემსკაია, დმიტრიევა,—პოკასოვსკაია, შიხუტსკაია, ხარიტონოვა; ბ-ნნი: ბაქენოვი, დონსკოი, პოლუიანი, ზალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ფიხენვალდი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
30 ოქტ.—„M-llo ფიფი". გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
ექიმები:
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ტ. მუდინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
დ. ი. კამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.
დ. ი. კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი ნ. ძ. ოსხოლიანი.—ქალისა და [illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ე. ა. ზიდირი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
დ. ი. მონინი.—ქალისა, საზეთით და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირით. 1—2 საათამდე.
გ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ბრ. მ. ხოსროშახიძე.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთი:
ა. მ. ხოსროშახიძე.—ხირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში [illegible] მორიგებით. კრავატები დღეში ღირს 1 მ. 50 კ. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის [illegible] სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible] ვორონცოვის ქუჩიდან-კი 34 ნ. (ტფ.) ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქ. კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, №№ 32, 21, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამ. 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თგ.—6.—22)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—11)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყოროღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ქ. ნ. თოთრაძე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. სუჯევენია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—21)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

27 ოქტომბერი

ვარშავა, 27 ოქტომბერი. ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე ლოვიჩს წავიდნენ.

მუკდენი (საკუთარ კორესპონდ.). 25 ოქტომბერს ჩვენმა მორტირებმა (დიდმა ზარბაზნებმა) ყუმბარა დაუშინეს სოფელ კუდიაზის და ხოუთხაის სიმაღლეს. იაპონელებმა დასცალეს სოფელი კუდიაზი და სანგრების ნაწილი. სოფ. ლინშინპუ რომ დავიჭირეთ, ერთი ჩვენის უნტერ-ოფიცრის გვამი ვიპოვეთ,—ხუნხუზებს თავი მოეჭრათ გვამისათვის.

ხარკოვი, 27 ოქტომბერი. გამოცხადებულ იქნა ბრძანება. ამ ბრძანების ძალით, ხარკოვის უნივერსიტეტში ექიმები წელს ჩვეულებრივ ვადაზე ადრე დაამთავრებენ სწავლას.

მუკდენი, 27 ოქტომბერი (საკუთარ. კორესპ.). გენერალი ლინევიჩი გუძიაძში წავიდა მთავარ-სარდლის სანახავად.

ჩიფუ, 27 ოქტომბერი („რეიტერი"). იაპონელები განუწყვეტლივ ყუმბარებს უშენენ პორტ-არტურს. ყუმბარები ისე ხშირად ეცემა ქალაქში, რომ რუსებმა თითქმის სრულიად შეაჩერეს ნავთ-სადგურის შესაკეთებელი მუშაობანი. თავის ნებით შემდგარი დრუჟინა და პოლიცია ციხის ჯარში ჩაირიცხა. 25 ოქტომბერს პორტ-არტურიდან წამოვიდა 60 ჩინელი. წამოსულან იმიტომ, რომ სურსათი ძალიან დაძვირებულა პორტ-არტურში. როგორც ესენი ამბობენ, უკანასკნელ შტურმის დროს ორივე მხარეს იმდენი მოკლული იყო, რომ სალდათები დამარხვას ვერ ასწრებდნენ. მოკლულთა გვამები მთელი დღეები მიწაზეა. ჩინელნი ამბობენ, ოქროს გორაზე თვეზე მეტი იქნება ზარბაზანი არ გავარდნილაო. ფიქრობენ, რომ რუსებს საომარი მასალა აკლდებათ. ახალი პორტ-არტური და აგრეთვე ჩინელთა ქალაქი თითქმის სულ ერთიან დაქცეულია. ათასი სახლი მინგრეულ-მონგრეულია. ამ სახლებს შეშად ხმარობენ. ქალაქში მალ-მალ ცეცხლი ჩნდება. დაიწვა ის საქონლის საწყობები, რომელიც უცხოელებს ეკუთვნოდა.

ტოკიო („რეიტერი"). 24 ოქტომბერს, დილით, ფორმოზის კუნძულზე დიდი მიწის ძვრა მოხდა. დაიქცა 150 სახლამდე, დაიღუპა 75 კაცი.

ტოკიო, 27 ოქტომბერი („რეიტერი"). ხმა დადის, რომ იაპონელებმა პორტ-არტურში სრულიად ჩააჩუმეს ერლუნგშანისა და სინუშანის სიმაგრეებიო. იაპონელები ეხლა უმთავრესად იძუშანის აღებას სცდილობენ.

პარიზი, 10 ოქტომბერი („ჰავასი"). ფიქრობენ, რომ სამედიატორო სასამართლო, რომელმაც უნდა განიხილოს ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარი ამბავი, შეიკრიბება პარიზში თოთხმეტიოდე დღის შემდეგ.

ვარშავა, 27 ოქტომბერი. საღამოზე ლოვიჩიდან ვარშავაზე გზად გაიარეს ხელმწიფე იმპერატორმა და დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

27 ოქტომბერი

ჩიფუ, 27 ოქტომბერი. იაპონიის ჯარი შანლიკიანამდე მივიდა. შანლიკიანი მდებარეობს პორტ-არტურის რკინის გზის სადგურის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, ერთი მილის მანძილზე.

ჩიფუ, 27 ოქტომბერი. ნავით რამდენიმე კაცი მოვიდა პორტ-არტურიდან, საიდანაც ორშაბათ საღამოთი გამოსულან. როგორც ესენი ამბობენ, ორშაბათს იაპონელები ყოფილან: ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით—ტუნკიტაშუნიდან 4½ მილის მანძილზე, აღმოსავლეთით—ტაკუშანიდან 2½ მილზე, დასავლეთით—ფუნჯიტუნიდან ოთხ მილზე, ჩრდილოეთით—ბუტიტუნიდან 2½ მილზე. რუსებს ჯერ კიდევ უჭირავთ ოქროს გორისა და კიკვანშანის სიმაგრეები. იაპონელები ყოველ დღე ყუმბარებს უშენებენ პორტ-არტურს და დიდ ვნებას აყენებენ რუსებს.

ლოვიჩი, 27 ოქტომბერი. კაშინის რკინის გზის სადგურზე, სოფელ ზენკოვიცასთან შეიკრიბა ის ჯარი, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში უნდა გაიგზავნოს.

შანხაი, 27 ოქტომბერი. ამერიკა და ინგლისი ამ დღეებში გამოსცემენ იაპონიის სესხს დაბალის კურსით. უნდა გამოიცეს თორმეტი მილიონი გირვანქა სტერლინგი. მიზეზი ამისა ის არის, რომ რუსებმა მოიგერიეს ექვსი დღის შტურმი, ამასთან იაპონელებმა დაჰკარგეს 42 ათასი კაცი. წინანდელ სესხს გამოცემამდე მოაწერეს ხელი, ეხლა-კი ხელის მოწერაზე არაფერი ისმის.

ჩანსიამუტუნი, 27 ოქტომბერი. სალდათები სიხარულით მიეგებნენ გენერალ ლინევიჩის დანიშვნას პირველ არმიის უფროსად. ამ გენერალს დიდი სახელი აქვს ციმბირის ჯარში. გუშინ და დღეს სროლა მიწყნარდა. საღამოთი ხელ-ახლა გაისმა ზარბაზნების გრიალი, უმთავრესად იქითკენ, საითაც ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთაა. თბილა, თუმცა ქარი უბერავს და მტვერია.

ბერლინი, 27 ოქტომბერი. პორტ-არტურიდან უკანასკნელად მიღებული ამბები უფრო სამედოა, რადგან იაპონელების გამარჯვება საბოლოო არ გამოდგა. მეციხოვნენი კვლავინდებურად მამაცად არიან.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

27 ოქტომბერი

ორიოლი, 27 ოქტომბერი. ქალ. ბრიანსკის [illegible] ახლო სოფელში ეკლესია გაქურდეს: ფულის ყუთი და ყულაბები გატეხეს. ვერცხლის თასები, ძვირფასი ჯვარი და 150 მანეთი ფული წაიღეს. სხვათა შორის ერთ ფუთამდე შავი ფულიც მოიტაცნეს. ერთი ქურდი დაიჭირეს.

ვოლჩანსკი, 27 ოქტომბერი. საერობო კრებამ 8 დღე გასტანა. შემუშავებულია გეგმა საყოველთაო სწავლებისა, სამკურნალო დახმარებისა და დაარსდა სასკოლო კომისია. 35 სკოლას ორ-კლასიან სამინისტრო სკოლებად გადააკეთებენ. დიდი თანხაა გადადებული ბავშვების თავ-შესაფრისა, ყრუ-მუნჯთა სკოლისა, მასწავლებელთა შვილების სტიპენდიებისა, სამკურნალოებში წიგნთ-საცავებისა, სამკურნალო კოშკებისა და საწყობებისათვის. საერობო ექიმის მიტროფანე პოპოვის პატივსაცემლად, რომელიც 25 წელიწადი ემსახურა ერობას, იმისი სახელი დაერქვა სამკურნალოს. გადადებულია 50 მანეთი პიროგოვის კომისიისათვის, რომელიც ჰიგიენურ ცნობებს ავრცელებს ხალხში, და 100 მანეთი—ექიმის პოპოვის ნაწერების გამოსაცემად. ერობა შუამდგომლობს, პოპოვს მიეცეს ხარისხი მედიცინის საპატიო დოქტორისა. გამგეობის თავმჯდომარედ სერგეი ზადონსკი იქმნა არჩეული.

ნიუ-იორკი („რეიტერი"). პრეზიდენტის არჩევანში 14 მილიონმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „რუსკია ვედომოსტი"-ს მიმომხილველი ბ. ვ. მ. შენიშნავს, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა მეტად ნელა მიდიოდა ვიგომდე, საათში სულ 6-8 მილს გადიოდა. გინდ ამას იქით ერთი ორად ჩქარაც იაროს, ესე იგი საათში 12-16 მილიც გაიაროს, რუსის ესკადრა შორეულ აღმოსავლეთს 70 დღეზე, ესე იგი 29 დეკემბერზე ადრე ვერ ჩავა. იმედია, ადმ. როჟესტვენსკი რამე ღონეს იღონებს და უფრო ჩქარა ატარებს თავის ესკადრასაო.

ფრანგული გაზ. „ტან"-ი იუწყება: ინგლისის სამხედრო წრეები თან და თან რწმუნდებიან, რომ რუსის ესკადრას 8 ოქტომბერს თავის საკუთარ ნაღმიან გემებისათვისვე დაუშენია ზარბაზანი; ეს ნაღმიანი გემები წინ წასულან, გზა დაებნევიათ და ინგლისელ მეთევზეებთან მისულან. რუსის ესკადრას ვერ უცვნია თავისი ნაღმიანი გემები და ზარბაზანი დაუშენია. მიზეზი ამ შეცდომისა ისაა, რომ რუსის ფლოტში ახალი სიგნალები შემოიღეს და რუსის მეზღვაურები ჯერ კარგად ვერ მიეჩვივნენ ამ სიგნალებსაო. („ნ.").

ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო ტელინიდან დეპეშით ატყობინებს „რუსკოე სლოვო"-ს: ბოლოს დროს მზიანი დღეები დაიჭირა. ღამით სანგრებში საშინლად ცივა, სალდათებს ქარი (რევმატიზმი) უჩნდებათ. ორი რუსი კორესპონდენტი ბორის ტაგიევი და კუჩინსკი იაპონელებსა ჰყავთ ტყვედ. ორივე პორტ-არტურში იყვნენ. ტაგიევი ნაღმიან გემ „ლეიტენანტ ბურაკოვ"-ით ჩიფუდან პორტ-არტურში მოდიოდა და გზაში იაპონელებს დაეჭირათ.

სამხედრო მოქმედების ვითარება 21 ოქტომბერს. „რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ხ. კ. სწერს: „პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარი სასოწარკვეთილებით იბრძვის გენ. ნოგის არმიას; ამავე დროს მანჯურიაში სამხედრო მოქმედება შედარებით მიწყნარებულია და არაფერი არ ისმის იმაზე, რომ გენ. კუროპატკინი პორტ-არტურის დასახსნელად აპირობდეს წასვლას. არც თუ მარშალი ოიამა შეუდგა მედგარ ბრძოლას, თუმცა იაპონელები, ეტყობა, კარგად მოემზადნენ გასალაშქრებლად და იერიშის მისატანად. რუსულ გაზეთების კერძო დეპეშებიც მოწმობენ, იაპონელებმა ჯარის ზარალი შეივსეს, სამხედრო სურსათი მოზიდეს და ეხლა ყოველ დღე ზარბაზანს უშენენ რუსის პოზიციებს, უნდათ გაიგონ, სად რამდენი ჯარი უდგათ რუსებსაო. ეგაა ამ დაზვერამ, ცოტა არ იყოს, დიდ ხანს გასტანა—ხუთ დღეს, 16-დან 20 ოქტომბრამდე.—ამიტომ კაცს ფიქრად მოსდის, იქნება მარშალი ოიამა პორტ-არტურის შტურმის გათავებას ელოდებოდეს და ამ შტურმის შემდეგ აპირობდეს რუსის ჯარზე იერიშის მიტანას. რაღა თქმა უნდა, მარშალი ოიამა გენ. ნოგის არმიის მოსვლას-კი არ ელის: საშინელ შტურმის შემდეგ, გენ. ნოგის არმიას რამდენიმე კვირა მაინც დასჭირდება შესასვენებლად, ზარალის შესავსებად და ლიაოიანამდე გადასასვლელად. ცხადია, მარშალ ოიამას იმედი აქვს, რომ პორტ-არტურის აღების ამბავი იაპონიის ჯარს მეტად გაამხნევებს, ააფრთოვანებს, წაახალისებს და ამის გულისათვის იცდის, თუმცა ეს მოცდა ზოგიერთის მხრივ საზარალოა იაპონელებისათვის: გარდა იმისა რომ გენ. კუროპატკინს ყოველ დღე მაშველი ჯარი მოსდის, რუსები ადვილად იგებენ იაპონელების ჯარის ძალასა და განზრახვას. წინად, როცა მოპირდაპირეთა არმიები ასე ახლო არ იდგნენ ერთმანეთთან, იერიშის მიტანას რომ დააპირებდნენ, იაპონელები მუდამ ჯერ ცოტას უკან იხევდნენ, რუსის ჯარს ჰშორდებოდნენ და საიდუმლოდ ემზადებოდნენ ბრძოლისათვის. ახლა ასეთი ხერხი აღარ გამოდგება: ერთმა მხარემ რომ უკან დაიხიოს, მეორე მხარე თან მიჰყვება, დატოვებულ პოზიციებს დაიჭერს და შიგ გამაგრდება. ეხლა ორივე არმია თითქმის ერთმანეთის თვალ წინ მოქმედობს და იაპონელები თავიანთ განზრახვასა და პლანს ისე ადვილად ვეღარ დამალავენ. ამიტომაცაა, რომ რუსულ ოფიციალურ ცნობებში ხშირად ვკითხულობთ, იაპონელებს ხან ერთ მხარეს გადაჰყავთ ჯარი, ხან მეორესაო. დღეს იაპონელების რაზმები რკინის გზაზე გადადიან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ერთის დღის შემდეგ სხვა რაზმები აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიდიან და სხვ. ამ ხშირის ცრუ მანევრებით იაპონელები რუსის ჯარის მოტყუებას ცდილობენ...

ამ სიჩუმის დროს მარშალი ოიამა მაინც ნელ-ნელა, თითქმის შეუნიშნავად წინ იწევს თავის ჯარის ორსავე ფრთას და ცდილობს, რუსის არმიას ისევ ორსავე გვერდიდან მოუაროს. ჩვენ ვიცით, რომ გენ. კუროკის არმიამ რუსის მარცხენა ფრთაზე, იანსინტუნს ახლო 14 ოქტომბერს ვაიტოშანის გორა აიღო და შემდეგ ვანფულინისა და ფუშუნის გზაზე ბანიუპუზა და ჩანსიჩეაი დაიჭირა. ბ. ნ. ობ. 19 ოქტომბერს დეპეშით ატყობინებდა „ნოვოსტი დნია"-ს, ბოლოს დროს იაპონელების ჯარი აღმოსავლეთისაკენ მიიწევს ვანფულინის უღელტეხილისაკენაო. გენ. სახაროვის დეპეშაშიაც ეწერა, 19 ოქტომბერს იაპონელები ვანფულინისაკენ გაემართნენო; ეგაა არ ვიცით, რამდენად წინ წაიწიეს და სადამდე მივიდნენ. ამ მხარეს, გენ. კუროკის არმიის წინ რუსებს კიდევ უჭირავთ ძლიერი პოზიციები დალინის მთის ქედზე—ვანფულინისა, გაოტულინისა და ფინშინის უღელტეხილები. ეტყობა, 19 ოქტომბერს იაპონელები ვანფულინისა და გაოტულინის პოზიციებამდე მისულან. ამ პოზიციებს ეხლა მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ: ეს პოზიციები რომ აიღოს, გენ. კუროკის არმია მდ. შახეზე რუსის პოზიციების მარცხენა ფრთას გვერდიდან მოუვლის და რუსებს უბრძოლველად მიატოვებინებს მდ. შახეზე სისხლით აღებულ და დიდის წვალებით გამაგრებულ პოზიციებს, ამიტომ ეჭვი არაა, განაპირა მარცხენა ფრთაზე, სადაც გენ. ივანოვის ციმბირის მესამე კორპუსი დგას, რუსები ძლიერ ეცდებიან და დალინის ქედს იაპონელებს არ დაანებებენ.

თუ იაპონელების მარჯვენა ფრთა (გენ. კუროკის არმია) ჯერ გვერდიდან არ მოჰქცევია რუსის ჯარს, მარშალ ოიამას მარცხენა ფრთაზე-კი გენ. ოკუს არმია 1 ოქტომბრიდან დღემდე მდ. შახეს მარჯვენა ნაპირას (მუკდენის მხარეს) დგას გამაგრებული და რუსის მარჯვენა ფრთას გვერდიდან ემუქრის. 14 ოქტომბრამდე სოფ. ლინშინპუს ჩრდილოეთი ნაწილი რუსების ხელში იყო, მაგრამ ბოლოს რუსებმა სულ მიატოვეს სოფ. ლინშინპუ და წინა სანგრები, როგორც ოფიციალურ მოხსენებიდან სჩანს, სოფლის ჩრდილოეთით გამართეს. ეს იმას ჰნიშნავს, რომ იაპონელებს არა თუ მარტო სოფ. ლინშინპუს ჩრდილოეთი ნაწილი დაუჭერიათ, კიდევ წინ ჩრდილოეთისაკენაც წაუწევიათ და რუსის უმთავრეს პოზიციებს სოფ. ვენჩენპუსთან დაახლოვებიან. ამ პოზიცებზე რუსებს ერთი ბრიგადა (ორი პოლკი) ქვეითა ჯარი არტილერიით და მრავალი ცხენოსანი ჯარი უდგათ. 16 ოქტომბერ ღამეს იაპონელებმა 18 საათის ზარბაზნის სროლის შემდეგ სამჯერ მიიტანეს იერიში ვენჩენპუზე, მაგრამ რუსებმა ყველა იერიში მოიგერიეს. გენ. ოკუს არმიას მდ. შახესა და ხუნხეს შუა ადგილებიც დაუჭერია და ყველგან რიგზე გამაგრებულა. ეტყობა, გენ. ოკუს მაშველი ჯარი მოჰსვლია. სულ ერთის კვირის წინად ამ ადგილებში იაპონელებს ცოტა ჯარი ჰყავდათ და რუსის ცხენოსანმა რაზმებმა მტრის დასაზვერად სოფლები ჩანტანი, ხეგოუტაი და შენანპუ ლიირეს მდ. ხუნხეზე, ლიაოიანის გზაზე გავიდნენ და ოკუს არმიას თითქმის ზურგიდან მოექცნენ. 15 ოქტომბერს რუსებმა ორი სოფელიც-კი დაიჭირეს: ჩანტანხენანი (ჩანტანის პირდაპირ, ხუნხეს მარცხენა ნაპირას) და ერთი უსახელო სოფელი ჩანლინპუდან ერთ ვერსზე, დასავლეთით; იაპონელებმა სოფ. შენანპუც (სანდეპუ) დასცალეს ლიაოიანის გზაზე. მაგრამ რუსების წარმატება ხან მოკლე იყო. 17 ოქტომბერს დონის ყაზახთა რაზმი არტილერიით ხუნხეს მარცხენა ნაპირას, სოფ. ლიდიანტუნთან (ჩანტანის ახლო) იაპონელების არტილერიასა და ქვეითა ჯარს შეხვდა. დონის ყაზახებმა (ეს პირველი ცდა იყო იმათი) ცხენ და ცხენ იერიში მიიტანეს იაპონელების ბატარეაზე; ესაულ კოსოროტოვის სოტნის ნაწილი მტრის სანგრებს ეცა, მაგრამ იაპონელებმა თოფი დაუშინეს და უკუ აგდეს; მეორე რაზმი თითონ იმ სანგრებს ეცა, სადაც ზარბაზნები ეწყო, მაგრამ გზაში ეკლიანი მავთულის ღობეში გაება და ისევ უკან დაიხია. მარტო ესაულ კოსოროტოვის სოტნას 40 ყაზახი და უფროსი მოუკლეს და დაუჭრეს; მთელ რაზმს ბრძოლის ველზე 20 მოკლული ყაზახი და 30 ცხენი დარჩა. 18 ოქტომბერს დონის ყაზახების ორი სოტნა კიდევ გაემართა ლიდიანტუნისაკენ. ერთმა სოტნამ კიდევ მიიტანა იერიში იაპონელების ბატარეაზე სოფ. ლიდიანტუნთან, მაგრამ იაპონელების ქვეითა ჯარმა კიდევ უკუ აგდო ყაზახები. მეორე სოტნა ლიდიანტუნის ჩრდილოეთით იაპონელების ქვეითა ჯარსა და არტილერიას შეხვდა და უკან დაბრუნდა. გენ. ოკუმ თავის განაპირა ფრთაზე ორ რიგად ძლიერი რაზმები დააყენა არტილერიით მდ. შახეზე სოფ. ლინშინპუს ქვემოდან და მდ. ხუნხეზე სოფ. ჩანტანის ქვემოთ. 20 ოქტომბრამდე იაპონელებმა მდ. შახესა და ხუნხეს შუა სოფ. შენანპუ და ერთი უსახელო სოფელი ჩანლინპუს ახლო დაიჭირეს, რუსები ჩრდილოეთისაკენ განდევნეს და მდ. ხუნხეს მარცხენა ნაპირის გამაგრებას შეუდგნენ. ასე რომ 21 ოქტომბრამდე გენ. ოკუს არმია მდ. შახეს გაღმა ძლიერ გამაგრდა და რუსის ჯარისათვის უფრო საშიში გახდა".

პორტ-არტური. „რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ. ს. კ. პორტ-არტურის სიმაგრეებს აწერს. ბ. ს. კ. სწერს: „აქამდე იაპონელები ხმას არ იღებდნენ გენ. ნოგის არმიის მოქმედებაზე, ეხლა კი ამ სიჩუმეს ბოლო მოეღო. ეს ამბავი იმას მოასწავებს, რომ იაპონელები პორტ-არტურის შტურმისათვის კარგად მომზადებულან და მალე თითონ შტურმსაც შეუდგებიან (წერილი 21 ოქტომბერსაა დაწერილი). ბოლოს დრომდე ციხის უმთავრესი ფორტები ისევ რუსის მეციხოვნე ჯარის ხელში იყო. ფორტების პირველი რიგი (დაგუშანი—აღმოსავლეთ მხარეს, კუროპატკინისა და წყლის

მილის რედუტები—ჩრდილოეთ მხარეს, დლინაია და ვ-სოკაია გორა—დასავლეთ მხარეს) აგვისტოსა და სექტემბრის დამდეგს აიღეს იაპონელებმა. გენ. ნოგის არმიის მოქმედების დაწვრილებით განხილვა მეტად ძნელია, რადგან პორტ-არტურის სწორე პლანი არაა გამოცემული; თუმცა პორტ-არტურის სიმაგრეები ნაჩვენებია სხვა და სხვა პლანებსა და კარტებზე, მაგრამ ადგილების სახელები და ბატარეების და ფორტების მდებარეობა ისეა არეული, რომ ამ კარტებით ძნელად თუ ისარგებლებს კაცი.

მდინარე ლუნხე ჩრდილოეთიდან, რკინის გზის პირ-პირ მიდის და პორტ-არტურის ბუხტას ერთვის. მდ. ლუნხეს ხეობა და ბუხტის დასავლეთი ნაწილი ციხეს სამ ნაწილად ჰყოფენ: აღმოსავლეთ, დასავლეთ და ზღვის პირ ნაწილად. აღმოსავლეთის ნაწილში ხუთი ფორტია დრაკონის მთის წვერებზე გამართული; ეს ფორტებიც ორ ჯგუფად იყოფა: ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ჯგუფად. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ჯგუფში ორი ფორტია: ერლუნგშანი,—თითქმის ზედ რკინის გზის პირად მდებარეობს,—და სუნშიშანი—უფრო მოშორებით, აღმოსავლეთისაკენ მდებარეობს. აღმოსავლეთ ჯგუფშიაც ორი ფორტია: ლაოლიცზაი უფრო ზღვის ახლო და ჩრდილოეთისაკენ კინკიშანი. ეს ორი ფორტი დაგუშანის გორის პირ-და-პირა მდებარეობს. აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ფორტებს კიკვანშანის ფორტი აერთებს. ფორტების დასავლეთი ჯგუფი „სტოლის გორების" ქედზეა აგებული და რკინის გზიდან ვეფხვის კუდამდე რკალივით აკრავს ციხეს. ეს ფორტები ამ რიგად მოსდევენ ერთმანეთს რკინის გზიდან მოკიდებული: ვანგტაი, ანცზეშანი (ლუიზას ბუხტის პირ-და-პირ), იშანი (პტრედის ბუხტის პირ და-პირ), ლუნშუშანი და იანსუტუნი. უკანასკნელი ფორტი ჰომბიან ველზე მდებარეობს ლიაოტეშანის მთის ძირას. იშანსა და ანცზეშანს იქით ორ ვერსტზე, უფრო ქალაქისაკენ მეორე რიგი სიმაგრეა აშენებული და ამ სიმაგრეების შუაში იცზიშანის ფორტია აგებული. ზღვის პირად მდებარე ფორტების ჯგუფი სამ ჯგუფად გაიყოფა, სახელდობრ: ვეფხვის კუდი, ოქროს გორა და მწყრის გორა („პერეპელინაია გორა"). მწყრის გორა ბუხტის ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს და მაღლიდან დასცქერის ოქროს გორასა და ვეფხვის კუდს. მწყრის გორას 670 ფუტი სიმაღლე აქვს, ოქროს გორასა და ვეფხვის კუდს 400—500 ფუტი თითოს. მწყრის გორაზე აგვისტოში გენ. სტესელმა ახალი სიმაგრეებიც ააგო. ვეფხვის კუდის თავში, ლიაოტეშანის მხარეს „თეთრის მგლის" გორა მდებარეობს; ეს გორა ჩრდილოეთ მხარეს თითქმის იანსუტუნის ფორტს უერთდება. აი ასეთი ცნობებია დაბეჭდილი ინგლისურ გაზეთებში პორტ-არტურის ფორტებსა და სიმაგრეებზე"...

მთავრობის განცხადება

გუშინ მოსულ სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური განცხადება:

მიღებულ ცნობების თანახმად, სათადარიგო ჯარის კაცებმა მობილიზაციის დროს უწესოებანი მოახდინეს ვიტებსკისა, სმოლენსკისა და კიევის გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილებში. განსაკუთრებით უწესოებანი გამწვავდა კანფეში, სადაც სათადარიგო რის კაცთა ერთმა ჯგუფმა აიკლო დუქნები, მაღაზიები, ებრაელთა და ლეთა სადგომები, წისქვილები და წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას. მთვრალმა ბრბომ ისარგებლა სამხედრო რაზმის სიმცირით, შეიჭრა სამხედრო უფროსის სადგომში, აიკლო იქაურობა, გავარდა შემდეგ ბაზრის მოედანზე და ააწიოკა რამდენიმე დუქანი. უწესოების მოსპობის დროს ქვით თავში დაიჭრა ისპრავნიკის თანაშემწე და ფეხში—ერთი სალდათი. სმოლენსკშიაც სათადარიგო ჯარის კაცებმა მოახდინეს უწესოებანი სამხედრო უფროსის სადგომის წინ. უწესოებანი ებრაელებთან ჩხუბით დაიწყო. უფრო ხანგრძლივი უწესოებანი მოხდა პოლოცკში, სადაც სამი დღის განმავლობაში სოფლებიდან ჯართან ერთად მოდიოდნენ სათადარიგო ჯარის კაცნი. ამათ აიკლეს არყის დუქნები და დაიტაცეს არაყი. ამათ ებრაელთა უბნების აწიოკებაც მოისურვეს, მაგრამ საქმეში პოლიცია ჩაერია და იმათმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. არყის დუქნები ამას გარდა აიკლეს ქალაქ ლეპელსა და ვიტებსკის გუბერნიის დაბა უშაჩში, კიევის გუბერნიის ექვს სოფელში, მოგილევის გუბერნიის ქალაქ სენნოში და ვიტებსკის გუბერნიის ქალაქებს ლიუცინსა და რეჟიცაში. რეჟიცაში ამას გარდა სცემეს პოლიციის ბოქაულს. სენნოში მოჰკლეს სამხედრო დარაჯი. როდესაც სამხედრო მატარებლები კრეიცბურგისა და სიროტინოს სადგურზე გაჩერდა, სათადარიგო ჯარის-კაცებმა აიკლეს ბუფეტები და დალეწეს კერძო კაცთა დუქნები. ვიტებსკში გაჩერდა მატარებელი, რომელშიაც 400 სათადარიგო ჯარის კაცი იყო. ყველანი გაქანდნენ ქალაქში სურსათის საყიდლად; ამასთან დუქნებიდან უფლაფურს იტაცებდნენ. ერთ სოფელში სათადარიგო ჯარის კაცნი თავს დაეცნენ მაკრის ქარხანას, მეორეში—საფოსტო კანტორას. კიევის გუბერნიაში თავის სახლში ბრბომ დასჭრა მემამულე და გაიტაცა იმისი კასსა. ამავე გუბერნიაში ტაგანჩის სადგურთან სცემეს და ფული წაართვეს გზად მიმავალ მღვდელს, ხოლო ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი, რომელიც ხალხის დარიგებას შეუდგა, წააქციეს, წაართვეს ხმალი და სცემეს. მოგილევის გუბერნიის სოფელ ბიხოვში სათადარიგო ჯარის-კაცებმა დალეწეს და გაძარცვეს მცხოვრებთა სახლები. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მობილიზაცია მოხდა 119 მაზრაში. აქედან 100 მაზრაში დაცულ იქნა წეს-რიგი. უწესოებებისა და არეულობების მიზეზთა გამოსაკვლევად და აგრეთვე საჭირო ზომების მისაღებად უმაღლესის ბრძანებით გაიგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გენერალი რიდზევსკი. („რ. ვ.").

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კომიტეტმა უკანასკნელ თავის სხდომაზე დაადგინა: 1. მიიღოს ბ-ნთ ზუბალაშვილების მიერ შეწირული ფული იმ პირობით, რომ, თუ ვინიცობაა, საზოგადოებამ გააუქმა თავისი მოქმედება, როგორც ეხლა შეწირული 50,000 მანეთი, ისე წინად შეწირული 30,000 მან. გადაეცეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, თავად-აზნაურობამ ეს ფული ხელ-უხლებელ თანხად უნდა შეინახოს და

სა და წოდებისა

ურვებს სათავად-აზნაურო სკოლის შენობის გაყიდვას ან გადაცემას თავად აზნაურობაზე, ზემოდ აღნიშნული პირობა 80,000 მან. დახარჯვის შესახებ სავალდებულო უნდა იყოს; 2. გამოეცხადოს უღრმესი მადლობა ბ-ნთ ზუბალაშვილებს; 3. აღძრულ იქმნას შუამდგომლობა მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წინაშე, რომ დაარსდეს ერთი სტიპენდია სტეფანე კ. ზუბალაშვილის სახელობაზე, სათავად-აზნაურო სკოლის განზრახულ სამკითხველო-ბიბლიოთეკას ეწოდოს სტეფანე კონსტანტინეს ძის სახელი და სამკითხველოში ჩამოკიდებულ იქმნას სურათი განსვენებულისა. ამას გარდა კომიტეტმა დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას კრებისავე წინაშე, რომ ძმანი ბ-ნნი ზუბალაშვილები საპატიო წევრებად იქმნან არჩეულნი.

◆ **ხოლერა** ბაქოსკენ თანდა-თან სუსტდება, სამაგიეროდ ერევნისკენ, ცოტა არ იყოს, ძლიერდება. 25 ოქტომბერს ბაქოში ავად გამხდარა მხოლოდ ოთხი კაცი, მომკვდარა ერთი. 24 ოქტომბერს სპარსეთიდან ბაქოში გემით მისულა 6 ავადმყოფი. ყველანი საავადმყოფოში დაუწვენიათ. ერევნისკენ ნახიჩევნის მაზრაში 25 ოქტომბრამდე ავად გამხდარა 39 მუშა ჯულფის რკინის გზისა. აქედან 23 კაცი მომკვდარა, 3 მორჩენილა და 13 კაცი ეხლაც ავად არის. შარურო-დარალაგეზის მაზრაში ავად გამხდარა 93 კაცი, მომკვდარა 38, ავად არის 55 კაცი.

◆ ტფილისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულომ განიხილა განცხადება პოლიცმეისტერ-ისა. პოლიცმეისტერი სწერს, რომ **ჯარში გაწვეულნი**, ზოგიერთნი, რომელნიც მოქალაქეთა საზოგადოებას ეკუთვნიან, უარს ამბობენ ნედოიმკების გადახდაზე, და აცხადებენ ჯარში გაწვევის დღიდან განთავისუფლებულნი ვართ ნედოიმკებისაგანო. საკრებულომ ამ საქმის განხილვის დროს იხელმძღვანელა სენატის განმარტებით, რომლის ძალითაც ჯარის კაცნი თავისუფლდებიან მხოლოდ საერობო გადასახადებისაგან; ის გადასახადები-კი, რომელიც უნდა მოქალაქეთა საზოგადოების დაწესებულებათა შენახვას, უსათუოდ უნდა გაიღონ. საკრებულომ დაადგინა, ნება დართოს პოლიციას, ნედოიმკების გასასტუმრებლად აუწეროს და საჯარო ვაჭრობით გაუყიდოს აღნიშნულ პირთ სახლში დარჩენილი ქონება.

◆ როგორც ვწერდით, ინჟენერ ბასტამოვის განცხადების გამო, უსახელო საზოგადოებამ თანხმობა განაცხადა, ნიკოლოოზისა და ხიდის ქუჩის კუთხიდან რიყის ქუჩით და ციციშვილის აღმართით პროვიანტის მოედნამდე, ხოლო იქიდან ნავთლუღამდე **ტრამვაის** გაყვანისა. უარი სთქვა საზოგადოებამ მალოკანების ქუჩიდან ლოტკის მოედნამდე გზის გაყვანაზე. ქალაქის გამგეობამ 27 ოქტომბერს დაადგინა, შეეკითხოს ავჭალის გზის კონცესიონერებს, მოისურვებენ თუ არა ისინი ლოტკის მოედნამდე თავიანთ რკინის გზის გაგრძელებას. გამგეობამ ამასთან გადასწყვიტა, აცნობოს ქალაქის საბჭოს ამ საქმის შესახებ ცნობები და სთხოვოს კომისიის ამორჩევა. კომისიამ უნდა განიხილოს ინჟენერ ბასტამოვის განცხადება და უსახელო საზოგადოების პასუხი.

◆ როგორც რუსული გაზეთები სწერენ. ამ ცოტა ხანში ტფილისში უნდა დაარსდეს

ფილა სულ 22, სომეხი

◆ კავკასიის მთავარ-მართებელს, როგორც „ნოვ. ობ." გადმოგვცემს, **კავკასიაში ცხოვრება აუკრძალავს** სათადარიგო ჯარის შტაბს-კაპიტნის ი. კ. ტერ-სტეფანოვისათვის.

◆ როგორც ბათუმის გაზეთს სწერენ. 22 ოქტომბერს **ერევანში მოჰკლეს ადგილობრივ** სტამბის პატრონი ედელსონი და სასიკვდილოდ დასჭრეს იმისი ცოლი იმ დროს, როდესაც ისინი სახლიდან გამოსულან. გაზეთი დაბეჯითებით ამბობს, რომ მკვლელნი სომეხი იყვნენ და შური იძიესო.

◆ 27 ოქტომბერს ბ-ნ ქანანოვის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდათ ტფილისის ქალაქის სავაჭრო-სამკურნალო პოლიციის აგენტებს. ლაპარაკი იყო ნიხრის დაცვის შესახებ. როგორც ვუწყით, ვაჭრები იშვიათად ჰყიდიან ნიხრზე და ყოველთვის უმატებენ ფასს. სამკურნალო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა განაცხადა, ამ ჟამად აგენტები მთელს თავიანთ დროს გადასახადების მოკრებას ანდომებენ. ვთხოვოთ გამგეობას, მოიწვიოს სამი კაცი, რომელსაც განსაკუთრებით უნდა დაევალოთ ნიხრის საქმეო. კრებამ მიიღო ეს წინადადება. კრებამ დაადგინა დაუგზავნოს სანიხრო ფურცლები ვაჭრებს და დაავალოს მათ თავიანთ დუქნებში გამოჰკიდონ. გადასწყვიტეს აგრეთვე შემოღებულ იქნას საჩივრის წიგნები, სადაც მცხოვრებნი აღნიშნენ საჩივარს ამა თუ ამ ვაჭარზე რომელიც ნიხრზე მეტად გაჰყიდის სანოვაგეს.

◆ ქალაქის ერთმა მცხოვრებელმა დანილოვმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა გეგმა და ამასთან სთხოვა დაემტკიცებინათ იგი. ამ გეგმით დანილოვს სახლის აშენება მოუსურვებია ისეთ ადგილზე, რომ ქვეითად თუ არა, ეტლით ან ცხენით იქ კაცი ვერ ავა. გამგეობამ ეს თხოვნა განიხილა 27 ოქტომბერს და შეუძლებლად სცნო იმისი დამტკიცება, რადგან ცეცხლის გაჩენის დროს სახლს ცეცხლის მქრობელი რაზმი ვერ მიუდგება და შესაძლებელია დიდი უბედურებაო. რადგან მოსალოდნელია, რომ მომავალშიც ბევრნი მოისურვებენ ასეთ მიუვალ ადგილზე სახლების აშენებას, გამგეობამ პრინციპიალურად დააყენა საკითხი, როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაშიო. გამგეობამ დაადგინა აცნობოს საბჭოს თავისი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ და სთხოვოს ხელმძღვანელობა.

◆ რადგან ტფილისის ქუჩების მომკირწყვლელ კომისიის თავმჯდომარემ ა. ი. ფლორენსკიმ თავი დაანება სამსახურს იმ მიზეზით, რომ საგუბერნიო მთავრობამ არ დაამტკიცა კომისიის სახელმძღვანელოდ შემუშავებული ინსტრუქცია, ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ვიდრე კომისია თითონ ამოირჩევდეს თავმჯდომარეს, რათა მუშაობა არ შეჩერდეს, დროებით კომისიის თავმჯდომარეობა დაევალოს გამგეობის წევრს ტ. ა. ენფიანჯიანცს.

◆ ამ დღეებში სახალხო სკოლების დირექტორმა მისწერა ტფილისის ქალაქის გამგეობას,—შემატყობინეთ, რა მიზეზით დაითხოვეთ ხარფუხის სასწავლებლის ზედამხედველი ქ-ნი ჩიქოვანიო. გუშინ გამგეობამ შეატყობინა დირექტორს, რომ ვალად აქვს სკოლების ნივთიერად შენახვა და ამ მხრივ გამგებლობა და პატრონობა სკოლებისა მინდობილი აქვს ქალაქის თვით-მმართველობას. ჩიქოვანი ვალდებული იყო ემორჩილებოდა გამგეობის განკარგულებას. მაგრამ მან არამც თუ აასრულა განკარგულება, გამგეობაში მოურავის მოადგილეს თავ. ჩერქეზიშვილს შეეჭრა და მკვახედ დაუყვირა: „უკანვე დაიბრუნეთ თქვენი წინადადება, რადგან სულ ერთია, მე მას არ ავასრულებო". ასეთ ურჩობის გამო დაითხოვა ქალაქის გამგებამ ქ-ნი ჩიქოვანიო.

ართველი ქალი გერმანულ დრამატიულ ხელოვნებაში

ისაც ქართველი ერის ისტორიისათვის თვალი გადაუვლია, იმას კარგად უნდა მოეხსენე ს, თუ რა დიდ გულადობას, თუ რა საკუ ულ ენთუზიაზმს და გმირულ თავგანწირვას იჩენდა პატარა, მაგრამ მეტის მეტად მხნე ქართველი ერი, როდესაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდა იმ საშიშარ გარეშე მტრებს, რომელთაც საძაგლად სურდათ იმისი სამუდამოდ განადგურება და რომელთაც ადამიანის სისხლის ღვრა დიდ სიამოვნებასა ჰგვრიდა. ნაციონალურ კულტურის და თავისებურების დაცვის საჭიროება მთელ ერს აერთებდა, მთელ ერს მიწიურ სიამოვნებას ავიწყებდა და მომავალს ახალის, სანეტარო სხივით ანათებდა. ამ დროს იგი იჩენდა მთელ თავის ზნეობრივ სიძლიერეს, მთელ თავის შენახულ ძალას. ამ დროს გმირულად, თავდადებით იბრძოდა, ამ დროს იგი უშიშრად ხვდებოდა საშიშარ სიკვდილსაც კი, რომ როგორმე თავისი რწმენა და დამოუკიდებლობა შეენახა, რომ როგორმე ბარბაროსი მტერი დაემარცხებინა. დამოუკიდებლობა ან სიკვდილი,—აი, რის გარშემო ტრიალებდა თანამედროვეთა აზრი. ქართული ისტორია სავსეა მრავალ გმირულის, წარმტაცის სურათებით, სავსეა ხალხის მახსოვრობაში დაუვიწყარის გმირებით, რომელნიც სამშობლოს ღრმა სიყვარულის გამო თვით სიკვდილსაც კი სიამოვნებით ჰხვდებოდნენ. ასეთი უშიშარი გმირები, როგორც ცნობილია, ბლომად ჩნდებოდნენ ქართველ ქალთა შორისაც. მებრძოლი ქალი წარსულში არა იშვიათი მოვლენა იყო...

ზემოდ ნათქვამი ქართველ მკითხველისათვის ახალი არ უნდა იყოს და ამიტომ განმარტებაც მეტია. ჩვენ მოვაგონეთ მკითხველს ეს ზოგადი ისტორიული სურათი იმის დასანახვად, რომ ასეთი მოუსვენარი და მოძრავი ეპოქა, როგორიც იყო ქართველი ერის თავ-განწირული ბრძოლა სპარსელებისა და ოსმალების წინააღმდეგ, მდიდარ მასალას იძლევა ხელოვნებისათვის, საზოგადოდ და დრამატიულ ხელოვნებისათვის—განსაკუთრებით. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ბევრის მხრივ ფრიად საინტერესო ეპოქა არ დარჩა ევროპიულ ლიტერატურისათვის შეუმჩნეველი. იგი გაცნობია ქართველთა ისტორიას და ყველაზე უფრო დაინტერესებულა ქართველ ქალით. ქართველ ქალის როლი ამ სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაში, ქართველ ქალის ნიშნობლივი თვისებები—აი, რა აინტერესებს ევროპიელ მწერლებს. ევროპიელ მწერლობის ინტერესს ქართველ ქალისადმი უნაყოფოდ არ ჩაუვლია. სწორედ ამ ინტერესს უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ ევროპის რამდენიმე ცნობილმა მწერალმა დრამატურგებმა თავიანთ ნაწარმოებებში ქართველი ქალი დაასურათეს და მით მისი ფიზიონომია ასე თუ ისე ევროპიელ საზოგადოებას გააცნეს.

ჩვენ გვსურს ამ ჟამად გავაცნოთ მკითხველს ერთ შესანიშნავ გერმანელ დრამატურგის დრამა, რომლის შინაარსი აღებულია ქართულ ისტორიიდან და რომლის ობიექტს ქართველი ქალი შეადგენს. ქართველ საზოგადოების დიდ უმრავლესობისათვის, ვგონებთ, ახალი ამბავი უნდა იყოს ის, რომ შესანიშნავმა გერმანელმა დრამატურგმა ანდრეას გრიფიუსმა *) მე-17 საუკუნეში დას-

---

*) ანდრეას გრიფიუსი, (1616—1664) გერმანელი დრამატურგია, რომლის ნაწერებმა წაუშლელი კვალი დაამჩნიეს გერმანულ ლიტერატურის განვითარებას. მე-17 საუკუნისათვის ის ისეთივე დიდი მწერალი იყო, როგორც, მაგალითად, გეტე ახალ დროისათვის. „გრიფიუსი ითვლება მამად ჩვენის დრამატიულ ხელოვნებისა", სწერს გერმანულ ლიტერა-

---

ფელეტონი

უშემწევნო

(ამბავი ან. ჩეხოვისა).

თუმცა მთელი ღამე ავადმყოფობა ისე აწუხებდა კისტუნოვს, რომ ძილი არ მოჰკიდებია, მაგრამ დილით ჩვეულებისამებრ მაინც წავიდა სამსახურში და მთხოვნელთა მიღება დაიწყო ბანკში. მთელი ღამის უძილოს სახე მოქუშული ჰქონდა და მომაკვდავსავით ძლივსღა სუნთქავდა.

— თქვენ რა გნებავთ?—ჰკითხა სათხოვრად მოსულს ადამის დროინდელ აბრანძულ კაბაში გამოწყობილ დედაკაცს, რომელიც პირველ შეხედულობაზე ბიდლინჯოს უფრო მოაგონებდათ, ვიდრე ადამიანს.

— მოგახსენებთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ჩემს გაჭირვებას,—დაიწყო მთხოვნელმა დედაკაცმა:—ჩემი ქმარი, კოლეჟსკი სეკრეტარი შჩუკინი, ხუთი თვე ავად იყო და ავადმყოფობის დროს, სანამ მორჩებოდა, სამსახურიდან უკვე დაითხოვეს. როცა ჯამაგირის ასაღებად წავედით, 24 მან. და 36 კაპ. გამოუკლეს, გამოიტანა! რისთვის? ვკითხე.—„იმას სასხნაკო კასიდან ფული გაჰქონდა და სხვა მოხელეები თავდებად უდგებოდნენო". როგორ თუ გაჰქონდა? ვეუბნები. განა შესაძლებელი იყო, რომ ჩემს დაუკითხავად ფული გაეტანა? ყოვლად შეუძლებელია, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. რად უნდა მომექცნენ ასე უსამართლოდ? მე ღარიბი დედაკაცი ვარ, ამასთანავე სუსტი და უღონო, მფარველს მოკლებული... ყველა ასე მჩაგრავს და უმწეოდ მტოვებს.

მთხოვნელმა თვალები დაახამხამა და ჯიბეში ხელები ჩაიყო ხელსახოცისათვის. კისტუნოვმა თხოვნა გამოართვა და კითხვა დაუწყო.

— მაპატიეთ, ვერ გამიგია, სთქვა და მხრები შეიშმუშნა,—ლაპარაკი არ უნდა, ქალბატონო, რომ თქვენ შეცდომით, თქვენი თხოვნა ჩვენ არ შეგვეხება, მიჰმართეთ იქ, სადაც თქვენი ქმარი მსახურებს.

— ჰე, რა ბრძანებაა, ბატონო, მე ხუთს ადგილას უკვე ვიყავი და არც ერთს ადგილას თხოვნაც კი არ მიიღეს!—სთქვა შჩუკინამ —კინაღამ თავგზა დამეკარგა ამდენს სიარულში და იმედიც დავკარგე, მაგრამ ღმერთმა დიდი დღე მისცეს ჩემს სიძეს ბორის მატვეიჩს, იმან მომასწავლა თქვენკენ: „მიჰმართეთ, დედილო, კისტუნოვს, ის გავლენიანი კაცია, ყველაფერის შესრულება შეუძლიანო"... მიშველეთ როგორმე, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— ჩვენ, ქალბატონო შჩუკინავ, დახმარება არ შეგვიძლიან თქვენთვის... თქვენი ქმარი, როგორც სჩანს, სამხედრო სამკურნალო უწყებაში მსახურებდა, ჩვენი უწყება კი კერძო სავაჭრო დაწესებულებაა, ჩვენ ბანკი გვაქვს, ნუ თუ ვერ გაიგეთ ეს?

კისტუნოვმა ხელ-ახლა მხრები მაღლა აიწია და მიუბრუნდა სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილს.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ,—შესაბრალისად წაიჩურჩულა შჩუკინამ:—თუ არა გჯერათ, რომ ჩემი ქმარი ავად იყო, ინებეთ მკურნალის მოწმობა! აი, გასინჯეთ და დარწმუნდებით!

— კეთილი, მჯერა,—გაჯავრებით წარმოსთქვა კისტუნოვმა:—მაგრამ ეგ ჩემი საქმე არ არის, ჩვენ არ შეგვეხება. გაკვირვებული ვარ, ნუ თუ თქვენმა ქმარმა არ იცის, ვის უნდა მიმართოთ?

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, იმან ღვთისაგან განაჩენი არაფერი არ იცის. დაიძახა: „შენი საქმე არ არის, მომშორდიო"! აბა ერთი მიბძანეთ, მაშ ვისი საქმეა? მე მაწევან ისინი კისერზედ, ჩემი სარჩენ საკვები არიან!

კისტუნოვი ხელახლა მიუბრუნდა და აუხსნა რა განსხვავებაა სამხედრო სამკურნალოსა და კერძო ბანკის შორის. შჩუკინამ გულმოდგინებით მოისმინა იმისი ლაპარაკი, ნიშნად თანხმობისა რამდენჯერმე თავი დაუკრა და სთქვა:

— აგრეა, დიახ, სწორედ აგრეა... მეუღლება, ბატონო, რახან მაგრეა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, უბძანეთ ნახევარი მაინც მომცენ, ჯერ-ჯერობით მაგაზედაც კმაყოფილი ვიქნები.

— უჰ, ღმერთო ჩემო!—ამოიოხრა კისტუნოვმა.—თქვენ კაცი ვერაფერს ვერ გაგაგებინებთ! ნუ თუ ვერ შეგიგნიათ, რომ მაგისთანა თხოვნით ჩვენთან მომართვა იმასვე ნიშნავს, რომ განქორწინების საქმისთვის აფთიაქს ან სავაჭრო დუქანს მიმართოთ. თქვენს ქმარს სრული ჯამაგირი არ არ მისცეს —კეთილი, მაგრამ ჩვენ აქ რა შუაში ვართ ერთი მიბძანეთ?

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, შემიბრალეთ მე ობოლ ოხერი, მუდმივ თქვენი მლოცველი ვიქნები, თქვენი ჭირიმეთ, ამოუშვა ფშრუკუნი შჩუკინამ —მე სუსტი არსება ვარ, მფარველი არავინა მყავს... მოვწყდი, მოვიქანცე ამდენს სიარულში... ეს ქმრის საქმეების გამო ირბინე, მდგმურებს სდიე, საზიარებლად იარე და ყველამ ამას ისიც დაურთეთ, რომ სიძე უადგილოდ არის რამდენი ხანია... ამდენი სიარულით არაქათი გამომელია, ფეხზე ძლივსა ვდგევარ, მთელი ღამე არ მძინებია.

კისტუნოვს გულმა ძალზე ცემა დაუწყო, სახე მოიჭმუჭნა და გულზე ხელი მიიდო და ხელახლავ დაუწყო ახსნა შჩუკინას, მაგრამ ლაპარაკი ვეღარ შესძლო.

— არა, უკაცრავად, მე თქვენთან ლაპარაკი არ შემიძლიან,—სთქვა და თან ხელი ჩაიქნია კისტუნოვმა.—მე უკვე თავ-ბრუ დამეხვა. თქვენ ჩვენც გვიშლით და ტყუილად დროსაც და ჰკარგავთ. უჰ!.. ალექსი ნიკოლაევიჩ,—მიუბრუნდა ის ერთს თავისს მოსამსახურეთაგანს:—აუხსენით, თუ ღმერთი გწამთ, ქალბატონ შჩუკინას!

კისტუნოვმა ჩამოუარა ყველა მთხოვნელებს, მერე კაბინეტში შევიდა, დამზადებულს ქაღალდებს ხელი მოაწერა, ალექსი ნიკოლაევიჩი კი ჯერ ისევ ელაპარაკებოდა შჩუკინას. კაბინეტში კისტუნოვს კარგად ესმოდა წყნარი, თავაზიანი ხმა ალექსი ნიკოლაევიჩისა და მომტირალი, წრიპინა ხმა შჩუკინასი...

— მე სუსტი ადამიანი ვარ, არავინ მფარველი არა მყავს,—ამბობდა შჩუკინა.—გარეგანი შეხედულებით, იქნება ჯან-საღ ადამიანსაც ვგავდე, მაგრამ დაწვრილებით რომ გამსინჯოთ, ერთს ძარღვსაც ვერ მოიპოვით საღსა. ძლივსა ვდგევარ ფეხზე და მადაც კი დამეკარგა... დღეს თუმცა ყავა დავლიე, მაგრამ ჩალასავით მეჩვენა.

ალექსი ნიკოლაევიჩი უხსნიდა, რომ მათი დაწესებულება ბანკია და არაფერი ერთობა არა აქვს იმ უწყებასთან, სადაც მისი ქმარი მსახურობდა. ჩქარა ისიც მოიქანცა და ბუხჰალტერმა დაიჭირა იმისი ადგილი.

— საშინელი ხვარე დედაკაცია! ბრაზ მორეული ამბობდა კისტუნოვი, თითებს იმტვრევდა და წამ-და-უწუმ წყალსა სვამდა.

— გამოტვინებულია, მხეცია! მე გამტანჯა და ეხლა არც იმათ აყრის ხეირს! უჰ... გული საშინლად მიცემს!

ნახევარის საათის შემდეგ ზარი დაარაწკუნა შემოვიდა ალექსი ნიკოლაევიჩი.

— რა ჰქენით, ვერ მორჩით იმ დედაკაცს?—ჰკითხა კისტუნოვმა.

— ვერაფერი ვერ გავაგებინეთ, პეტრე ალექსანდროვიჩ! ჩვენ ერთს ვეუბნებით, ის სხვას გვეუბნება.

— მე... მე არ შემიძლიან მისი ხმა გავგონო... ავად გამხადა წყეულმა.

— მსახურს დავაძახებინებ, გარედ გავაგდებინოთ.

— არა, არა თუ ღმერთი გწამთ!—წარმოსთქვა კისტუნოვმა,—ერთ დრიანცელს მოგვიწყობს, ამ შენობაში ბევრი მდგმურები სცხოვრობენ და ღმერთმა უწყის, რას იფიქრებენ ჩვენზედ... ეცადეთ სხვაფრივ როგორმე შეაგნებინოთ.

ხუთის წუთის შემდეგ ალექსი ნიკოლაევიჩის ხმა მოისმა, რომელსაც ადგილი ნახევარ საათის შემდეგს ხელ-ახლად ბუხჰალტერს დაუთმო.

— საშინელი საზიზღარი რამ არის!—ძრწუნავდა კისტუნოვი,—მთლად გამოტვინებული, ეშმაკმა იცის მაგისი თავი თუ ჩამოგვეხსნას! როგორც ვხედავ, ხელ-ახლა შეაკუმა მომარა.

ძალა მიხდილმა ალექსი ნიკოლაიჩმა თითებით ჯერ მაგიდაზედ დააბრახუნა, მერე შუბლზე მიიდო.

— ერთის სიტყვით, თქვენს თავში ტვინი კი არ არის:—აი რა—ქმარა, ქმარა...—იწყენ შჩუკინამ.—მაგიდები შენს ცოლს უბრახუნე და იმას მოახსენე მაგისთანა ლითაიები.

ალექსი ნიკოლაიჩმა, მთლად გაკაპასებულმა, მუქარით დააჭყიტა რა თვალები, შეუძახა:

— დაიკარგეთ აქედან!

— რაო?—დაიღრიალა უცებ შჩუკინამ.—უსირცხვილო, როგორა ჰბედავთ? ჩემი ქმარი კოლეჟსკი რეგისტრატორია! წავალ ეხლავ ვექილ დომა-

წერა გერმანიის განათლებულ წრეებში
ცნობილი დრამა—Catharina von G
oder bewehrete Reständigkeit—
საქართველოდან ანუ შენახული მედგ
გრიფიუსი გვიხატავს თავის პიესაშ
ცნობილ ქეთევან წამებულის ტანჯვა-ვაება სპარსეთში, რაც ჩვენი ავტორის სიცოცხლის დროს მოხდა პიესის შინაარსი დაახლოვებით ასეთია.

მეფე თეიმურაზი იძულებულია გაჰგზავნოს თავისი დედა ქეთევანი (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გრიფიუსს შეცდომით აქვს ნახმარი ქეთევანის მაგიერ ეკატერინე; ამნაირად პიესას სამართლიანად უნდა ერქვას „ქეთევანი საქართველოდან*.) სპარსეთში. იქ უმშვენიერესს ქეთევანს, რომლის ღვთაებრივ სილამაზით სპარსეთის შაჰი თითქმის გაგიჟებული იყო, უნდა მოელბილებინა მკაცრი შაჰაბაზი, რომელიც საქართველოს განადგურებას აპირებდა. ღვთის მოყვარე, სამშობლოს ხსნის სურვილით გატაცებული დედოფალი მიემგზავრება თავის მხლებლებით სპარსეთისაკენ. როდესაც იქ ქეთევანმა შაჰაბაზის სურვილს დიდი წინააღმდეგობა გაუწია, როდესაც შაჰის გნებათა ღელვის დაკმაყოფილება სამუდამოდ უარჰყო, შაჰმა წინადადება მისცა სარწმუნოების გამოცვლის შესახებ და დაჰპირდა, თუ თანახმა იქნები, ცოლად შეგირთავო. ღვთის მოყვარე, მაგარი რწმენის მქონე არსება, რა თქმა უნდა, ასეთ წინადადებაზე უარს ეუბნება. ქეთევანს უთვალავი ტანჯვა-წვალების ატანა სწადია, ოღონდ იმისი წმიდათა-წმიდა, იმისი უმანკოება და რწმენა ხელუხლებელი დარჩეს. ქეთევანი მზადაა ეწვალოს რწმენისათვის, მზადაა ყოველსავე განსაცდელს თამამად შეჰხვდეს; იმას ვერ აშინებს ვერავითარი მუქარა, იმას არ ახსოვს მიწიური სიამოვნება, ვერ იტაცებს ცხოვრებისადმი სიყვარული; იმისთვის მხოლოდ რწმენა არსებობს და ამ წმიდა რწმენის ღალატი მისთვის წარმოუდგენელი რამ არის. წასვლის წინადაც ქეთევანმა კარგად იცოდა, რა მოელოდა სპარსეთში, კარგად იცოდა, რომ იმისი დღეები დათვლილი იყო, მაგრამ საყვარელ სამშობლოს ხსნის სურვილით აუწერლად აღფრთოვანებული, მაინც წავიდა, რომ თავის წამებით შეემსუბუქებინა ბარბაროსთა მიერ განადგურებულ ქვეყნის საშინელი ტანჯვა. დაღონებული შაჰი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ქეთევანი დაითანხმოს, მაგრამ ყველაფერი ამაოა: გმირი ქალი მოუდრეკელი რჩება; მას ვერა ხიბლავს ვერავითარი ხორციელი ბედნიერება და შაჰის ცოლობაზე უარს ამბობს. ასეთ მტკიცე უარის შემდეგ შაჰი პირდაპირ უცხადებს, რომ შენ აუტანელი წვალება მოგელისო. მაგრამ შეურყეველი ქეთევანი არც-კი ყოყმანობს და მწარე სიკვდილს არჩევს. სპარსეთში მეფის რუსეთის ელჩს ჰსურს საქართველოს დედოფალი იხსნას ტყვეობისა და მომავალ განსაცდელისაგან. იგი მიდის თვით შაჰთან და სთხოვს უმანკო, ღვთის მოყვარე ქალის განთავისუფლებას და სამშობლოში გაგზავნას. შაჰი ჰპირდება ელჩს თხოვნის ასრულებას. მაგრამ ქეთევანს მაინც საშინლად აწამებენ. ბოლოს თვით გაგიჟებული შაჰიც ნანობს თავის აჩქარებას და სურს როგორმე იხსნას უსაყვარლესი არსება. გამწარებულმა შაჰმა ამჯობინა, რომ საყვარელი ქალი ისევ სცოცხლობდეს. მაგრამ გვიანდა იყო: ქეთევანი უკვე აწამეს შაჰის მსახურებმა. ქეთევანი სიკვდილს გმირულად დახვდება და წამების წინ თამამად ამბობს: „მაშ მოდი ტკბილო სიკვდილო“. ასეთია, მოკლედ, დრამის შინაარსი.

როგორც მკითხველი ჰხედავს, პიესაში დახატულია გმირი-ქალის თავგანწირვა, გმირი-ქალის „შენახული მედგრობა“, როგორც თვით სათაური გვეუბნება იდეისათვის, რწმენისათვის წამების გმირულად და რაღაც იდუმალ სიამოვნებით ატანა, საკვირველი ენტუზიაზმი, საკვირველი ზნეობრივი სტოიციზმი და საუცხოო ზნეობრივი სიძლიერე, აი, ასეთის თვისებით არის შემკული ქართველი ქალი ანდრეას გრიფიუსის პიესაში. ქეთევანი—ეს ძლიერი, ეს დიდი ნების მქონე პიროვნებაა, ეს წმიდა იდეისათვის წამებული ღვთაებრივი არსებაა. და რომ გერმანელ დრამატურგის მიერ დახატულ ქართველ ქალის სურათი ისტორიულ სინამდვილეს სავსებით შეეფერება, ამაზე ქართველ მკითხველთან საუბარი მეტი უნდა იყოს.

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ Catharina von Georgien ორასი წლის წინადაა დაწერილი, მაგრამ გრიფიუსის როგორც ყოველი ნაწარმოები, ეს დრამაც ისე ხელოვნურადაა დაწერილი, რომ იმას თანამედროვე მკითხველიც დიდის სიამოვნებით და გატაცებით წაიკითხავს. ამიტომაც კარგი იქნება, გამოჩენილ გერმანელ დრამატურგის ცნობილი დრამა, რომელიც ასე საუცხოვოდ ახასიათებს ქართველ ქალს, ქართულ ენაზედაც გადაითარგმნოს.

ფრაიბურგი (გერმანია). **ივ რამიშვილი**

ტურის ერთი ისტორიკოსი. (იხ. Vilmar, Geschichte der Nationallitteratur, 16 vermehrte Auflage, 1874, s. 337). „ისეთმა ნაციონალურმა უბედურებამ, როგორიც იყო გერმანიისათვის ოცდაათი წლების ომი, წარმოშობა პირველად ისეთი ნამდვილი პოეტები, როგორნიც არიან ანდრეას გრიფიუსი და ფრიდრიხ შპეე“, სწერს მეიერი, (იხ. იმისი Die deutsche Litteratur des neuenzehnnter Jahrhunderts, Zueite Auflage, s. 2. 1900). „ეკატერინე საქართველოდან“ დაბეჭდილია 1647 წელს. ავტორს საქართველო გაუცვნია ცნობილ მოგზაურის შარდენის ფრანგულ წიგნიდან: Voyages en Perse.

**) როგორც გვახსოვს, ქართულ პრესაში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ შეგვხვედრია. ქართველ ისტორიკოსებს უნდა სცოდნოდათ ამის შესახებ, მაგრამ მათაც არაფერი უცნობებიათ (თუ არა ვსცდებით). თვით გერმანელ მწერალს ბ-ნ არტურ ლეისტს ეს საყურადღებო გარემოება აღუნიშნელი დარჩა თავის მშვენიერ წიგნში—Das georgische Volk (1903 წ.).

ხზულება
ა. ყა ბეგისა

დღეიდან დაურიგდება „ცნობის ფურცლისა“ და „მოამბ ს“ მხოლოდ იმ ხელის მომწერთ, ვისაც წლიური ფასი და პრემიის გასაგზავნი სრულად აქვთ შემოტანილი. რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ, პრემია თვითონ მიიღონ: **ტფილისში**,—რედაქციის კონტორაში (ვანქის ქუჩა, ქართვ. ამხ. სადგომში ყოველ დღე დილის 9—3 ს. და საღ. 5—8 ს.). **ქუთაისში**—ამხან. „კოლხიდა“-ს კანტორაში, ბალახვანის ქუჩაზე; **ჭიათურაში**—ირ. დეკანოზიშვილთან; **ოზურგეთში**—ვას. ხუნდაძესთან; **თელავში**—ივანე პატაშვილთან, დანარჩენ ადგილებში გაეგზავნებათ ფოსტით. ვისაც ფოსტით არ მიუვა, იმან რედაქციას უნდა გამოუგზავნოს მოწმობა ადგილობრივ სადგურის უფროსისა, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს, რომ იმის სახელზე, ვისაც არ მიუვა პრემია, სრულიად არ ყოფილა იგი სადგურში მიღებული.

პრემია ცალკე არ იყიდება

ყაზბეგის თხზულებათა მიღების გასაადვილებლად, რედაქციამ მოსახერხებელად სცნო მიაწოდოს იგი იმათაც-კი, ვისაც ჟურნალ-გაზეთი მთელი წლით არა ჰქონია გაწერილი; ამისათვის მხოლოდ უნდა დაუმატონ 2 მ. და 80 კ. იმათ, ვისაც გაწერილი აქვს 1904 წ. პირველ ნახევარში და 3 მ. 40 კ. ვისაც 1 ნოემბრამდე.

პრესსა

„რუსსკ. ვედ.“-ი ეხება მოწინავე წერილში რუსეთის ერობის მოღვაწეობას საერო განათლების ასპარეზზე და საინტერესო ცნობები მოჰყავს იმის შესახებ, თუ რა-და-რა დაბრკოლებანი გადაეღობა გზაზე ერობის მოქმედებას.

1880 წლიდან ერობა შეუდგა რუსეთში ეგრედ წოდებულ „წერა-კითხვის სკოლების“ დაარსებას, 1884 წ. გამოცემულ განკარგულებით მთავრობამ ეს სკოლები სასულიერო უწყებას დაუმორჩილა 1897 წელს რუსეთის სხვა-და-სხვა ერობებმა შუამდგომლობა აღძრეს იმის შესახებ, რომ ნება მიეცათ მათთვის გაეხსნათ, სასულიერო უწყებისაგან დამოუკიდებლად, პირველ-დაწყებითი სკოლები, როგორც სამოქალაქო სკოლების განყოფილებანი. საერო განათლების სამინისტრომ უარჰყო ერობის შუამდგომლობანი. მინისტრთა კომიტეტი დაეთანხმა სამინისტროს გადაწყვეტილებას. 1884 წელს საერო განათლების სამინისტრომ გამოსცა ცირკულიარი იმის შესახებ, რომ იმ ადგილებში, სადაც სამრევლო სკოლები არსებობენ, ახალ საერო სკოლების გასახსნელად უნდა შეეკითხნენ ადგილობრივ ეპისკოპოსებს. უამისოთ ნება არ ჰქონდათ გაეხსნათ როგორც სამინისტრო სკოლები, აგრეთვე სამოსწავლო საბჭოების, სხვა-და-სხვა საზოგადოებების და კერძო პირთა სკოლებიც. ამ განკარგულებამ ძლიერ დააბრკოლა ერობის მოღვაწეობა და მრავალი უთანხმოება გამოიწვია ერობათა და სასულიერო უწყების შორის. მაგრამ ერობა სულით არ დაცემულა და მხნედ განაგრძობდა მუშაობას ხალხის განათლების ასპარეზზე. ერობამ განიზრახა საყოველთაო სწავლების შემოღება, ბევრ გუბერნიაში უკვე გადასდვეს ერობებმა საჭირო თანხები ამ განზრახვის ასასრულებლად. გაცხარებული მუშაობა იყო, როცა 1900 წ. მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლითაც განსაზღვრულ იქნა საერობო გადასახადები, აკრძალული იყო ამ გადასახადების გადიდება. ამ კანონმა ფრთა შეაკვეცა ახალ სკოლების დაარსების საქმეს.

წიგნების გამოცემის საქმეშიაც ბევრი დაბრკოლება გადაეღობა გზაზე ერობას. მე-90 წლებიდან ერობის მოქმედებას ამ ასპარეზზე სისტემატიური, დინჯი ხასიათი დაეტყო. ერობამ გაავრცელა ხალხში მრავალი გამოცემანი რუსეთის სახელ-განთქმულ მწერალთა ნაწერებისა. 1901 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოსცა ახალი განკარგულება, რომლითაც ერობათ ნება ეძლეოდათ გამოეცათ მხოლოდ უკვე ნება-დართული პერიოდული გამოცემანი და სპეციალური, სამეურნეო შინაარსის ნაწერები. ერობათ აღარ შეეძლოთ გამოეცათ ისეთი სალიტერატურო ნაწარმოები, რომელიც აღნიშნული არ არის სახალხო სკოლებისა და წიგნთ-საცავებისთვის გამოცემულ ნება-დართულ წიგნების სიაში. ადმინისტრაციას დაევალა, სასტიკად თვალ-ყური ადევნოს ერობათა გამომცემელ მოღვაწეობას. ამნაირად, ერობათ ჩამოერთვა ის უფლებაც, რომელიც თვითეულ კერძო კაცსა აქვს რუსეთში—თავისი სურვილისამებრ სხვა-და სხვა ნაწერების გამოცემისა.

დასასრულ „რუსსკ. ვედ.“-ი ამბობს, რომ დღეს ყველა ბაზრის გამომცემელთ შეუძლიანთ სხვა-და-სხვა წიგნები გამოსცენ ცენზურის ნება-რთვით, ერობანი კი, ცენზურის გარდა, საერო განათლების სამინისტროს მიერ გამოცემულ ნება-დართულ წიგნების სიას უნდა დაემორჩილნენო. მაგალითად, 1897 წელს მოსკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შუამდგომლობით მიმართა სამინისტროს, ნება მოგვეცით, ხალხისათვის იაფ ფასად გამოვცეთ პუშკინის შემდეგი ნაწერებიო: „კაპიტნის ქალი“ „პოლტავა“, „თევზისა და მეთევზის ზღაპარი“ და „ბორის გოდუნოვი“. სამინისტრომ უარჰყო ეს შუამდგომლობა. მხოლოდ ბევრი მეცადინეობის შემდეგ მოიპოვა ერობამ ნება გამოეცა „კაპიტნის ქალი“ და „პოლტავა“. „თევზისა და მეთევზეს ზღაპარი“ და „ბორის გოდუნოვი“ კი დღემდისაც აკრძალული დარჩა.

⁂

„ნოვ.“-ს საყურადღებო მოსაზრებანი მოჰყავს იმის შესახებ, თუ რა მიზეზით ხდება რუსეთში სტუდენტთა შორის მღელვარება-უწესოებანი და, სხვათა შორის, ამბობს, სტუდენტები ამ დროს იმიტომ მოქმედებენ ერთობით, რადგან ეს ერთად-ერთი ბუნებრივი გზაა საერთო სურვილის, საზოგადო უკმაყოფილების გამოსაცხადებლადაო.

მართლაც, განა არსებობს სადმე ისეთი საზოგადოება, რომელსაც შეეძლოს უკრებოდ, თავის საზოგადო საჭიროებათა განუხილავად გაძლება. განა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეთი ხალხი, რომელსაც სურვილი არა აქვს გამოუცხადოს მთავრობას თავის გაჭირვება, განუმარტოს თავისი მდგომარეობა? გამოუცხადოს ყველა ეს არა ამა თუ იმ კაცის პირით, არამედ კრებებისა და ყრილობათა საშუალებით. ყველა განათლებულ ქვეყნებში კანონით ნება-დართულია ამგვარი კრებანი. რადგან სტუდენტებს ბუნებრივი, კანონიერი გზა არ გაეხსნათ თავის საზოგადო სურვილებისა და საჭიროებათა გამოსაცხადებლად, ისინი სხვა გზებს ეძებენ. და ბევრი მათგანი დღევანდელ შევიწროებულ მდგომარეობის მსხვერპლად ხდებაო, ამბობს გაზეთი „ნოვ“-ი.

თეატრი

ქართული დრამა („ახალი მოძღვრება“ ბარეტისა, 27 ოქტომბერი). ძლივს, ძლივს შემოიხედა ქართველმა საზოგადოებამ ქართულ თეატრში! სახაზინო თეატრი თითქმის სავსე იყო და სათეატრო დარბაზს ისეთი ელფერი მიეცა, როგორიც შეჰფერის.

ბარეტის დრამამ ვერ გაამართლა ბევრის მოლოდინი: შესანიშნავი, ნამდვილი სადრამო თემაა აღებული და თემის განვითარება კი გაჭიანურებულია, მოსაწყენია. ძველი, წარმართი რომი და „ახალი მოძღვრება“ პირვანდელი ქრისტიანობა—აი რას უპირდაპირებს ბარეტი ერთი მეორეს. მაგრამ ეს დაპირდაპირება, გამწვავებული ბრძოლა მკრთალად და, ეგრე ვსთქვათ, ულონოდ არის გამოთქმული და გამოხატული. სახელოვან სენკევიჩის განთქმულ „Quo vadis“-თან შედარებით „ახალი აღთქმა“ სუსტი ლანდია. ლაპარაკი, სულ ლაპარაკი და დაუსრულებელი რეზონიორობა. მით უფრო ძნელი წარმოსადგენია ეს დრამა და მით უფრო მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი არტისტები დამარცხებული გამოვიდოდნენ ასპარეზიდან. მაგრამ, ჩვენდა სასიამოვნოდ და არტისტების სასახელოდ, პიესამ მწყობრად და რიგიანად ჩაიარა, წარმოდგენას დაკვირვებისა და შრომის ბეჭედი ესვა.

დროც არის!

დრამის მთავარი მოქმედი პირი მარკუსია (რეჟისორს თუ არტისტებს სულ ტყუილად უნებებიათ რომაულ სახელის მარკუსის მარკად გადაკეთება: მარკი არც რომაულია და არც ქართული). ახალგაზდა, აპოლონისებური მშვენიერი რომაელი არისტოკრატი, რომის ბრბოსა და დამაზ ქალების ნებიერი და საყვარელი მარკუსი წარმომადგენელია იმ წარმართ რომისა, რომელიც გარყვნილ და მტარვალ კეისრების უღელ ქვეშ მხოლოდ განცხრომასა და სიტკბოებას ეტანებოდა; სხვა მამოძრავებელი, აღმძვრელი მოტივი აღარ იყო. სახელმწიფო საქმე კეისრისა და მის კარის კაცთა ხელში იყო, რომაელ მოქალაქეს არაფერი ეკითხებოდა გარდა კეისრის სიამოვნებისა; ძველის სარწმუნოებისა და ღმერთების სახელი-ღა დარჩა და რომაელიც ხარბად დაეწაფა ეპიკურის მომზიდველ მოძღვრებას: გაუმარჯოს ამ ქვეყნიურ სამოთხეს, განცხრომას, ბახუსსა და მომხიბლველ ვენერას! აი რას გაიძახოდა ქალი და კაცი ნერონის დროის რომში; არავითარი ფიქრი და ზრუნვა, არავითარი ღრუბელი არ ეფარებოდა მუდამ ღია და მხიარულ შუბლს იმ დროინდელ რომაელისას.

მარკუსი უკეთილშობილესი წარმომადგენელია ამ მოქეიფე რომისა: ისიც თავდავიწყებით გატაცებულია ამ ქვეყნიურ სამოთხით, მაგრამ სხვასავით დაცემული და ეგრე ვსთქვათ გასვრილი არ არის. მესხიშვილს კარგად შეეგნო ეს როლი და მშვენივრადაც შეასრულებდა, რომ... როლი სცოდნოდა. ეს მოუცილებელი სენი ჩვენის არტისტებისა იყო მიზეზი, რომ მესხიშვილი, რომელსაც ხმა, საბედნიეროდ, შესამჩნევად გაუმჯობესებია, ის არ იყო, რაც უთუოდ მას შეეძლო. მიუხედავად ამისა ზოგი ადგილი თავის როლისა უნაკლულოდ გადმოგვცა; მაგალითად, რად არ ღირდა ის სცენა, როცა მარკუსი ეხვეწება მერციას ქრისტიანების ბინაში ან მთელი ის ადგილი, როცა სიყვარულით გატაცებული წარმართი რომაელი მხურვალედ, მჭევრ-მეტყველურად უმტკიცებს იმ სოფლიურ იდეალებით შეპყრობილ მერციას ამ ქვეყნიურ ცხოვრებისა და სიყვარულის სიტკბოებას.

რომში გარდა ბრწყინვალე მარკუსებისა ღარიბნი, ლატაკნი და დამონებულნიც იყვნენ, და ქრისტეც ხომ ამათთვის იყო მოვლენილი. აქ დამშეულნი, მწუხარენი და წამებულნი, იქ, იმ ქვეყანას ელოდნენ სრულ ნეტარებას, და ამით აღფრთოვანებულნი ნამდვილ ფანატიკურის მძაფრ ლოცვებით და ზიზღით უცქეროდნენ ამ ქვეყნიურ სიამოვნებასა და სიტკბოებას. [illegible], სპეტაკი და მშვენიერი მერცია ამ წრის სულიერი შვილია. სულითა და გულით ემსახურება ქრისტიანობის საქმეს და მისთვის ივიწყებს ყველაფერს, გულში იკლავს გრძნობას, რომელიც მშვენიერმა და ცქვიტმა მარკუსმა გაუღვიძა ახალგაზდა ქალს. ჩხეიძის ქალი ზომიერად, გრძნობით ასრულებდა მერციას როლს. უკანასკნელ მოქმედებაში, როცა მარკუსი საბოლოოდ მოდის, დაემორჩილა მერციასა და ახალ-მოძღვრებას, ჩხეიძის ქალი საუცხოვო სასმენი და სანახავი იყო.

უზომოდ დაცემული მტარვალი ნერონი, კეისარი და უსაზღვრო მბრძანებელი რომის უზარმაზარ იმპერიისა, გაიძვერა ახლობლების პამპულად და სათამაშოდ გამხდარი, თვალ-წინ დაგვიყენა კოტე მესხის კონიერმა და დაკვირვებულმა თამაშმა; როლიც საუცხოვოდ იცოდა და მართლა ჩვენის სცენისათვის იშვიათი სიამოვნება აგრძნობინა მაყურებელ საზოგადოებას.

ქ-ნი რონელი ცოცხლად და გაბედულად თამაშობდა მხიარულ და დარდიმანდ [illegible] ქალს. კარკარეთელიც თითქმის შესწვდა ვერონიკას არა ადვილ როლსა და ზოგ ადგილას სინამდვილით გადმოგვცა ეჭვით შეპყრობილ შეყვარებულ ქალის სულის კვეთება.

დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდნენ გარდა იმედაშვილისა, რომელიც ხან ავლაბრულ კილოზე ლაპარაკობდა, ხან ქართლელ გლეხს ჰბაძავდა.

არ შეგვიძლიან რეჟისორს ორიოდე საყვედური არ ვუთხრათ: დრამიდან გამოუტოვებიათ ერთი მშვენიერი და მნიშვნელოვანი ადგილი—ავტორი უპირდაპირებს სათნოიან სპეტაკ მერციას რომაელ მოქეიფე და დარდიმანდ ქალს; მთელი შეტაკება ამ ორის ანტიპოდისა სცენაზედ სრულიად ვერ ვნახეთ. ასეთი თავისებური რეჟისორობა სრულიად არ იქნებოდა საპატიებელი, რომ ერთი გარემოება არა—ნებიერიძისა ვერ იქნებოდა შესაფერი პარტნიორი ჩხეიძის ქალისა. რაც არ უნდა იყოს, მაინც სასაყვედუროა, რომ რეჟისორმა ვერ დააღწია თავი ამ სიძნელეს და დრამის ერთი საუკეთესო ადგილთაგანი გამოსტოვა. მეორე—აპოთეოზისებური დაბოლოვება დრამისა, როცა ამას შინაარსი არ თხოულობს, და მერე ისე უხეიროდ, როგორიც ამ ღამის წარმოდგენაზე ვნახეთ, შეუწყნარებელია.

მესამე—სცენის უკან ხალხი არ უნდა დადიოდეს მოქმედების დროს; როცა მაყურებელი სულგანაბული უგდებს ყურს მსახიობთ, ტლანქ ფეხების დანახვა სრულიად მეტია.

ი.

რუსეთის ქრონიკა

◆ გომელში ებრაელებზე თავდასხმის შესახებ საქმის განხილვის დროს ჩვენება ჩამოართვეს მოწმეს—ექიმ ალექსანდროვს, რომელმაც სთქვა, გომელში რუსთა საზოგადოება მეტად უღიერად ეკიდებოდა ებრაელებსაო. მაგალითად, ადგილობრივ კლუბს წესად შემოეღო არ აერჩიათ წევრებად ებრაელები. ადგილობრივ სასწავლებელში მოწაფეებს ებრაელთა მიმართ სიძულვილს უნერგავენო. თავისი სიტყვების დასამტკიცებლად ალექსანდროვმა შემდეგი საოცარი შემთხვევა მოიყვანა. გომელის საქალებო გიმნაზიაში ერთ მასწავლებელ ქალს პატარა კალათი დაეკარგა და სასწავლებლის უფროსის ბრძანებით მხოლოდ ებრაელი მოსწავლე ქალები გაჩხრიკეს დაკარგულ ნივთის აღმოსაჩენად, ქრისტიან მოწაფეებისათვის კი ხელი არ უხლიათო.

ბოქაულის თანაშემწემ ჩერნოლუსკიმ აჩვენა, ებრაელები ქვებს ესროდნენ პოლიციელებსაო და სთქვა, ებრაელები მეტად თავხედური ხალხიაო. თავის სიტყვების დასამტკიცებლად ბოქაულის თანაშემწემ შემდეგი მაგალითი მოიყვანა: თეატრში შეტაკება მქონდა ერთ ებრაელთან. საქმე სასამართლომდის მივიდა და ებრაელი დამნაშავედ იქნა ცნობილიო. ებრაელთა დამცველმა მანდელშტამმა პასუხი გასცა ბოქაულის თანაშემწეს და უთხრა: „მართალია, ებრაელი დაისაჯა სასამართოს განაჩენით, მაგრამ თქვენც მიგესაჯათ ციხეში დამწყვდევაო“. შერცხვენილმა ჩერნოლუსკიმ ამის შემდეგ დუმილი არჩია.

◆ 6 ნოემბრისათვის პეტერბურგში მოწვეულ საერობო მოღვაწეთა კრებაში მონაწილეობას მიიღებს 34 საგუბერნიო საერობო გამგეობის უფროსი და ამათ გარდა სხვა-და-სხვა ერობათა 42 წარმომადგენელი.

17 ოქტომბერს ქ. ვიტებსკში მოვიდნენ პეტერბურგიდან: შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი რიძევსკი, ჟანდარმთა კორპუსის შტაბის უფროსი გენერალი დედიულინი და შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე მოხელე, რომელთაც უნდა გამოიკვლიონ საქმე ამას წინად ვიტებსკში მომხდარ ებრაელთა დარბევის შესახებ. („ნოვ. ვ.“).

ვიტებსკიდან სწერენ „ნოვ.“-ს, მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ ძნელი დრო დაუდგათო. [illegible] ხალხი მიესია ამ დუქნებს და 9 დუქანი დაარბია. [illegible]

◆ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორმა გოლოვინმა წინადადება წარუდგინა სამედიცინო ფაკულტეტს იმის შესახებ, რომ ფაკულტეტის კლინიკებში ორდინატორებად და ლაბორანტებად ადგილი ექიმ ქალებს მიიღონ. ფაკულტეტმა დაადგინა, რომ ამ წინადადების შესახებ შუამდგომლობა აღძრას საერო განათლების სამინისტროში.

◆ ამას წინად პეტერბურგში გადაიცვალა ცნობილი გამომცემელი ა. თ. მარქსი, რომელმაც თავის ჟურნალ „ნივა“-სთან ერთად მთელ რუსეთს მოჰფინა რუსეთისა და უცხოეთის სახელ-განთქმულ მწერლების ნა-

---

ტრი კარლოვიჩთან და გაჩვენებთ მე თქვენ სეირს, შენი ხსენებაც აღარ იქნება აქ, იცი თუ არა! სამს მდგმურს თავი ვუკარ ციხეში და შენ კიდევ უფრო უარესს დაგმართებ. მე თქვენ უფროს მივმართავ! თქვენო მაღალკეთილშობილებავ! თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

— დაიკარგე აქედან, შე ჯოჯოხეთის მაშხალავ!—მიაძახა ალექსი ნიკოლაევიჩმა.

კისტუნოვმა გამოაღო კარი და გამოიხედა.

— რა ამბავია? მომტირალის ხმით ჰკითხა იმან.

ჭარხალსავით გაწითლებული შჩუკინა ოთახის შუაგულს იდგა, თვალებს აბრიალებდა და ხელებს აქეთ-იქით იქნევდა. ბანკის მოსამსახურენი მთლად გაწითლებულნი იმის გარშემო იდგნენ და თავგზა დაბნეულნი ერთმანეთს-და შეჰყურებდნენ.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ! მიჰვარდა კისტუნოვს შჩუკინა.—აი ემ ემაწვილმა... აი ამან. (უჩვენა ალექსი ნიკოლაევიჩზე) თითები მაგიდას დააბრახუნა, მერე შუბლზედ მიიდო...—თქვენ უბრძანეთ ჩემი საქმის გარჩევა და ეგ-კი მასხარად მიგდებს! მე სუსტი არსება ვარ, მფარველი არავინა მყავს... ჩემი ქმარი კოლეჟსკი რეგისტრატორია, მე თვით კიდევ მაიორის ქალიშვილი ვარ.

— კეთილი, ქალბატონო,—ამოიკვნესა კისტუნოვმა:—მე გავარჩევ თქვენ საქმეს, მივიღებ ზომებს... მიბძანდით!..

— ფულებს როდის-ღა მივიღებ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ? მე დღეს მჭირია ფულები!

— კისტუნოვმა მთრთოლვარე ხელი შუბლზე დაიდო, ამოიოხრა და ხელ-ახლა დაუწყო ახსნა.

ქალბატონო, მე უკვე მოგახსენეთ, რომ აქ კერძო დაწესებულებაა, სავაჭრო ბანკია... რა გინდათ ჩვენგან? ნუ თუ ვერ შეგიგნიათ, რომ გვიშლით.

შჩუკინამ მოისმინა და ამოიოხრა.

— დიახ, დიახ..—დასთანხმდა იგი.—მხოლოდ ამას გთხოვთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მოწყალება ჰქენით, მუდამ თქვენი მლოცველი ვიქნები, მფარველობა გამიწიეთ, თუ ექიმის მოწმობა საკმარისი არ არის, პოლიციიდანაც მოგიტანთ მოწმობას... უბრძანეთ, ფულები მომცენ!

კისტუნოვს თვალთ დაუბნელდა, ფეხზედ დგომა ვეღარ შესძლო და დაჯდა.

— რამდენი გნებავთ მიიღოთ?—ჰკითხა იმან დაბალის ხმით.

— 24 მან. 36 კაპ.

კისტუნოვმა გახსნა საფულე, ამოიღო 25 მანეთიანი და მიაწოდა შჩუკინას.

— წაიღეთ და დაიკარგეთ!

შჩუკინამ ხელსახოცში დინჯად გამოახვია ფული, ჩაიდო ჯიბეში და სრულიად დამშვიდებულმა, ღიმილით ჰკითხა:

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, არ შეიძლება ჩემი ქმარი ხელ-ახლა მიიღოთ სამსახურში?

— მე მივდივარ... ავადა ვარ...—წარმოსთქვა კისტუნოვმა.—გულის საშინელი ფრიალი მაქვს.

კისტუნოვის წასვლის შემდეგ, ალექსი ნიკოლაევიჩმა მსახური გაჰგზავნა დასამშვიდებელ წამლის საყიდლად ყველამ თითო წვეთი წამალი დალიეს და ხელახლა შეუდგნენ მუშაობას, შჩუკინა-კი ორი საათი კიდევ იჯდა კისტუნოვის წასვლის შემდეგ შესავალ კარაპანში და კისტუნოვის დაბრუნებას ელოდა.

მეორე დღესაც კიდევ მოვიდა შჩუკინა.

ზ. ედილი

წერები. „ნივას“ ხელის მომწერთ მიიღეს პრემიად თხზულებანი: დოსტოევსკისა, გოგოლის, ტურგენიევის, გონჩაროვის, გრიგოროვიჩის, ჩეხოვის, ჟუკოვსკის, ლესკოვის, ჰეინეს და სხვა.

◆ გაზ. „პრავო“ იუწყება, რომ ყველა საერობო მოღვაწეთ, რომელნიც პლევეს მინისტრობის დროს გაგზავნილნი იყვნენ ტვერის გუბერნიიდან, ნება მიეცათ დაბრუნდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრის სვიატოპოლკ-მირსკის განკარგულებით განთავისუფლებულ იქნა პოლიციის ზედამხედველობისაგან პლევეს მინისტრობის დროს ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული 20 კაცი.

◆ რუსეთის გაზეთების სიტყვით, გზათა ამინისტროს გადაუწყვეტია შეიძინოს ,500 საქონლის ვაგონი რუსეთის სახაზინო რკინის გზებისთვის.

ღამის დეპეშები

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

28 ოქტომბერი

ლოვიჩი, 27 ოქტომბერი. საიმპერატო- ო მატარებელი ორ საათზე მოვიდა. იმპე- ატორ-თან ერთად მოვიდნენ დიდი მთავა- ი მიხეილ ალექსანდრეს ძე, მინისტრები აიმპერატორო კარისა და სამხედრო, სა- ახლის კამენდანტი გესსე და სხვანი. ხელმ- იფემ კეთილ ინება და მიიღო საპატიო ყა- აული მე-39 ქვეითა პოლკის როტისაგან. ან ყარაულს დროშები ჰქონდა და მემუ- აკენი ჰყავდა. მუსიკამ მისაგებებელი და- კრა. როტამ ხელმწიფის წინ ცერემონია- ის მარშით გაიარა. შემდეგ ხელმწიფემ იიღო თავად-აზნაურთა დეპუტაცია თავ. ვიატოპოლკ-ჩეტვერტინსკის მეთაურობით, ომელმაც სიტყვით მიმართა მის უდიდე- ულესობას. ხელმწიფემ კეთილ ინება და დლობა გადაუხადა თავად-აზნაურთ გრძნო- ათა გამოთქმისათვის და სთქვა, იმედი მაქვს, ომ ეხლანდელი გაჭირვებული დღეები ფრო გააერთებს რუსეთის შოძმე ხალხსაო. ოვიჩის მართლმადიდებელ მრევლის მხრივ ეგილოობრივმა მღვდელმა მიართვა ხელმწი- ეს მაცხოვრის ხატი და სთქვა გრძნობიერი იტყვა. ხელმწიფე ემთხვია ხატს და პირჯვა- ი გადაისახა. შემდეგ ხელმწიფემ მიიღო ოვიჩის მოქალაქეთა დეპუტაცია. ლოვი- ს პრეზიდენტი მიესალმა ხელმწიფეს და ართვა პურ-მარილი. შემდეგ ხელმწიფე ებრძანდა ცხენზე და ამალითურთ მიბრძან- ა იქ, სადაც ჯარი იყო გამწკრივებული. არს უფროსობდა გენერალი პეტროვი. რკესტრმა მისაგებებელი და სახალხო ჰიმნი აუკრა. ხელმწიფემ ჩაუარა ჯარს და მიიღო აპორტი. თან ახლდა გენერალი ლასკოვ- ვი.

ხელმწიფეს მისდევდნენ: დიდი მთავარი, ინისტრები და ამალა. ხელმწიფემ დაითვა- იერა ორ მსროლელთა ბრიგადის რვა ოლკი, ორი საარტილერიო დივიზიონი, წრაფი საარტილერიო რაზმი, სულ 20 ოასი კაცი და 48 ზარბაზანი. ხელმწიფე ალ-ცალკე მიესალმა ჯარის თვითეულ ნა- ილს, გაჩერდა მოედნის შუა გულ ადგილას და ერიმონიალი მარშით გაატარა ჯარები; მდეგ ხელმწიფესთან თავი მოიყარეს ფიცრებმა, რომელთაც გზა დაულოცა, ეთილი მგზავრობა და გამარჯვება უსურვა. მდეგ ხელმწიფემ ხელ-ახლად შემოიარა არის ყველა ნაწილები, გამოემშვიდობა, ა ხატებით დალოცა. 4 საათზე ხელმწიფე ცხენით დაბრუნდა სადგურზე. ჯარმა აღტა- ებული „ურა“-ს ძ ხილით გააცილა. ხელ- წიფემ მადლობა გამოუცხადა უფროსებს, ა 4 საათსა და 20 წუთზე სუვალკს წაბ- ანდა საიმპერატორო მატარებლით. ჯარი, ნამ მატარებელი თვალთაგან არ მიეფარა, ღტაცებით „ურა“-ს იძახოდა.

ჩიფუ, 28 ოქტომბერი. ჩინელთა ცნო- ებით, დალნში ლიაოიანიდან ყოველ დღე ოდიან დაჭრილნი. საავადმყოფოები სავსეა აჭრილებითა და ავადმყოფებით. უმრავლესო- ა ბერიბერით არის ავათ. წასულ კვირას ხალი ჯარი აქ არ მოსულა. 25 ოქტომ ერს პორტ-არტურიდან გავიდა ნავი 60 ჩი- ელითა და 2 ინდოელით. ნავი ჩინელებმა შეა- ერეს და გაჩხრიკეს, მაგრამ საეჭვო ვერა ახესრა. 2 ჩინელი, 2 ინდოელი და 1 ჩი- ელი ქალი იაპონელებმა დალნში გაგზავ- ეს. ამის შემდეგ იაპონელებმა ნება მისცეს ავს თავის გზას გასდგომოდა. როგორც ოსულნი ამბობენ, იაპონელებს აუღიათ მხო- ოდ მოწინავე თხრილები ერლუნგშანის სი- აგრისა. იაპონელები კვლავინდებურად ყო- ელდღე ყუმბარებს უშენენ ქალაქსა და ავთ-სადგურს. ციხეში განსაკუთრებული ვლილება არ მომხდარა.

ტიანძინი, 27 ოქტომბერი („დეილი ელეგრაფი“). სინმინტინიდან შემდეგი ცნო- ები მოვიდა: მუკდენის სამხრეთით 10 მი- ის მანძილზე დიდი ბრძოლაა, რომელშიაც ონაწილეობას იღებს რუსის არმიის მარ- ცხენა ფრთა. ხუნხუზთა შორის შესამჩნევი ოძრაობაა. ნაუპანძისა და სინმინტინის შუა 1500 ხუნხუზია. ხუნხუზთა დასი აღმოსავლეთისაკენ მიდის. ჩინეთის პოლიციამ დააპირა ამათი შეჩერება, მაგრამ ვერ მოახერხა.

პორტ-საიდი, 27 ოქტომბერი („დეილი მეილ“). აქ ყოველ წუთს რუსის კონტრნაღმიან გემს მოელიან. სუდის ბუხტაში მოვიდნენ კრეისერი „სვეტლანა“, 7 კონტრნაღმიანი გემი და 3 ნახშირის მზიდავი. მოელიან დობროვოლნი ფლოტის რამდენსამე გემს.

ჩიფუ, 27 ოქტომბერი. დაწვრილებით ცნობები მოვიდა პორტ არტურთან მომხდარ ბრძოლაზე 20 ოქტომბრამდე. იაპონელებმა სინშიანს ახლო მდებარე პოზიციიდან ყუმბარა გაისროლეს და პორტ-არტურში ცეცხლი წააჩინეს. ეს ყუმბარა პაიუშანის გორასთან ერთის შენობის ახლო გასკდა; „ნოვი კრაი“-ს სტამბის სადგომი იმდენად დაზიანდა, რომ ამ გაზეთის გამოცემა მოსპეს. ყუმბარებმა ბევრი ქალი და ისეთი ხალხი დახოცა, ვინც ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდა.

ჩიფუ, 27 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფ“ი იუწყება: დღეს პირდაპირ პორტ-არტურიდან მივიღეთ ცნობები. სამის დღის წინად პორტ-არტურიდან ჩინელების ჯონკა გამოვიდა და გზაში იაპონიის ნაღმიანმა გემებმა დაყენეს. ჯონკაში მყოფი პირები მიატაოს კუნძულებზე სუანშონში წაიყვანეს და გასინჯეს, მაგრამ ამ პირებმა მოასწრეს და ზღვაში გადაყარეს წერილები და შიფრით დაწერილი ოფიციალური დეპეშები. როცა ეს ჯონკა პორტ-არტურიდან გამოსულა, იქ გაძლიერებული ზარბაზნის სროლა ყოფილა. იაპონელები ოთხის პოზიციიდან ესროდნენ ზარბაზანს ციხეს. ჩრდილოეთ ფორტების პირ-და-პირ სინშინის მიდამოებში ტელეგრაფის სადგური და უმთავრესი სასტუმრო დანგრეულია. სამხედრო გემები ხუანშინის ახლო შეეფარნენ; ოქროს გორის ახლო პატარა გემები ნაღმებსა ჰფანტვენ ზღვაში. იაპონელების უმთავრესმა ჯარმა დალნის გზით გაარღვია ფორტების წრე და კოკვანშანისა და პაიუშანის ფორტების კედლებს მიუახლოვდა. გათენების ხანს რუსებმა თავიანთ წინა პოზიციებიდან სულ რამდენისამე იარდის მანძილზე შენიშნეს იაპონელები და დიდი სწრაფ-მსროლელი ზარბაზნები დაუშინეს. ამ დროს ძლიერი ქარი ჰქროდა და ბოლი რუსების მხარეს მიჰქონდა; ამის წყალობით იაპონელებმა უკან დაიხიეს, თან რუსებს ხშირად თავს ესხმოდნენ; ამ დროს იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ, სრულს განადგურებას ქარიშხალმა გადაარჩინათ.

პეტერბურგი. გენერალის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 27 ოქტომბერს: „27 ოქტომბერს მოხალისეები თავს დაესხნენ სოფელ ლინშინპუს სამხრეთ ნაწილს. იაპონელებმა სასიგნალოდ ცეცხლი წაუკიდეს სამ სახლს და პროჟექტორებით გაანათეს ადგილები მდინარე შახეს გაყოლებით. იაპონელთა ზოგიერთმა რაზმებმა იერიში მიიტანეს ლინშიპუს პირდაპირ ჩვენი ჯარის მარცხენა ფრთაზე. იაპონელთა ჯარის ერთი ნაწილი ლინშინპუდან გამოვიდა. ჩვენ უკუვაქციეთ იაპონელები. ჩვენი მოხალისეები ლამ-ლამობით აწუხებენ მტერს მთელ ფრონტზე. 27 ოქტომბერს შეტაკებათა შესახებ მოხსენება არ მოსულა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

26 ოქტომბერი

ლოვიჩი, 28 ოქტომბერი. ნაშუადღევის 2 საათზე მოვიდა ხელმწიფის მატარებელი. სადგურზე დახვდნენ: ჯარის უფროსის თანაშემწე და ვარშავის გუბერნატორი. მცხოვრებლები სადღესასწაულო გუნებაზე არიან და სიხარულით ეგებებიან საყვარელ ხელმწიფეს. მართლ მადიდებელმა სამღვდელოებამ მის უდიდებულესობას ხატი მიართვა. ხელმწიფე იმპერატორი წაბძანდა ცხენით მოედანზე, სადაც შორეულ აღმოსავლეთში მიმავალი ჯარი იდგა. ჯარმა მარჯვედ გაიარა ხელმწიფის წინ და მისმა უდიდებულესობამ მადლობა გამოუცხადა. ხელმწიფემ მოწყალე სიტყვებით მიმართა ჯარს და ხატებით დალოცა. განუწყვეტელი „ურა“-ს ძახილი ისმოდა. პარადმა $2^1/_2$ საათი გასტანა. საღამოს 5 საათზე ხელმწიფის მატარებელი წავიდა. ხალხმა აღტაცებულის „ურა“-ს ძახილით გააცილა. საინტერესო და ამაღელვებელი სურათი იყო, როცა თითქმის ყველა სალდათი ხელმწიფესთან გამომშვიდობების დროს ფაფახებს ჰაერში ისროდა და შტიკებზე აცვამდა. როცა ხელმწიფის მატარებელმა მოედნის ახლოს გაიარა, მისი უდიდებულესობა ვაგონის პლატფორმაზე იდგა და მოწყალედ ემშვიდობებოდა ჯარს. ვარშავის გუბერნატორის მეცადინეობით ყველგან სამაგალითო წესიერება იყო დაცული, თუმცა დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. ხელმწიფემ ორი ათასი მანეთი უბოძა ლოვიჩის ღარიბ მცხოვრებლებს და ბრძანება გასცა, მოწაფეები სამის დღით განთავისუფლებინათ სწავლისაგან

დაძიაპუ (საკუთ. კორ.). 25 ოქტომბერს ნამესტნიკის შტაბის უფროსმა გენე- [illegible] ბის უფროსი გენერალი ლაშკევიჩი და დაწვრილებით განუმარტა საქმის გარემოება. „ნოვგოროდის გორასთან გენერალ ეილინსკის, ლაშკევიჩს და იმათ მცირე ამალას ყუმბარები დაუშინა იაპონელთა ბატარეამ სოფელ პუტოვის ახლოს მდებარე გორიდან. იაპონელებმა 15 ყუმბარა გაისროლეს, მაგრამ ვერავითარი ზარალი ვერ მიაყენეს რუსებს.

პორტ-საიდი, 27 ოქტომბერი („რეიტერი“). ყოველ წუთს ელიან ბალტიის ესკადრის კონტრ-ნაღმიან გემებს. არხის გაყოლებით ჯარს დააყენებენ, რათა ესკადრა თავდასხმისაგან დაიცვან.

ტიანძინი, 27 ოქტომბერი („რეიტერი“). სინმინტინიდან იუწყებიან, რომ მუკდენის სამხრეთით, 10 მილის მანძილზე, სერიოზული ბრძოლაა. რუსების მარცხენა ფრთა იბრძვის. ამ ჟამად გოუბანძისა და სინმინტინის შუა 1500 ხუნხუზია, რომლებიც აღმოსავლეთისკენ მიდიან.

ჩიფუ, 27 ოქტომბერი („რეიტერი“). სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, ამ ბოლო დროს იაპონელთა ყუმბარებმა დააზიანეს პორტ-არტურში სიმაგრეები იზუანი და მანტუშანი ვეფხვის გორაზე. ფიქრობენ, მეციხოვნეთა ჯარის რიცხვი 9000 კაცია. ქალაქში სასტიკი ზომებია შემოღებული. სტესელის სრულუფლებიან გამგეობის მეოხებით პორტ-არტურის საზოგადოებაში მეგობრული კავშირი დამყარდა. ჩინელებიცა და ჩინელი ქალებიც საავადმყოფოებში მუშაობის სურვილს აცხადებენ. ყველას სურს როგორმე ხელი შეუწყოს მტრის მოგერებას. ამ ხუთის დღის წინად რუსის აფიცერმა გაარღვია ალყა და ცინდაოს წავიდა გენერალ სტესელის ოფიციალურის დეპეშებით. 20 ოქტომბერს ყუმბარისაგან ცეცხლი გაუჩნდა პორტ-არტურში სახლს პაიშახის მთის ახლოს.

სუდის ბუხტა, 27 ოქტომბერი. აქ მოვიდნენ რუსის ტრანსპორტები: „კნიაზ გორჩაკოვ“, „კიტაი“ და „ვორონეჟ“-ი, რომლებმაც ნახშირი მოიტანეს ბალტიის ესკადრისათვის. მოვიდნენ კრეისერ „სვეტლანა“-სთან ერთად კონტრ-ნაღმიანი გემები: „ბედოვი“, „ბრავი“, „ბოდრი“ და „ბუინი“. კარდიფიდან გერმანიის ტრანსპორტი მოვიდა. დაბრუნდა საფრანგეთის სტაციონერი „კონდორი“.

სტამბოლი, 27 ოქტომბერი („რეიტერი“). დღეს ბოსფორზე გაიარა რუსის დობროვოლნი ფლოტის გემმა „ტამბოვ“-მა და ხმელთა შუა ზღვაში გაემართა.

ჩიფუ, 27 ოქტომბერი („რეიტერი“). პორტ-არტურის უკანასკნელ იერიშის დაწვრილებითი ცნობები: იერიში დაიწყო 17 ოქტომბერს ყუმბარების სროლით. შემდეგ ქვეითა და აღმოსავლეთის სიმაგრე ერლუნგშანისა იაპონელებმა დაიჭირეს ისე, რომ დიდი ზარალი არ მოსვლიათ. ერლუნგშანის ფორტზე კიდევ მიიტანეს იერიში, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. ახალი მაშველი ჯარები გაიგზავნა. ხელ-ჩართულ ბრძოლის შემდეგ ხუთი მოწინავე სიმაგრე აიღეს იაპონელებმა. ჯარი საოცარის გმირობით იბრძოდა. რუსის მედროშემ, რომელსაც ერთის ხმლის მეტი არა ჰქონდა-რა, ორი იაპონელი მოჰკლა. შემდეგ დღეების განმავლობაში ყუმბარებს უშენდნენ ერლუნგშანსა, შანშუშანსა და იმათთან მდებარე სიმაგრეებს. ციხეში მყოფთ პასუხი არ გაუციათ. სასტიკი ომი მოხდა ერლუნგშანთან იაპონელთაგან სანგრების დაჭერის დროს. რუსის კარგა ბლომა ჯარი გამოვიდა ციხიდან. ამას მოჰყვა თავგანწირული ბრძოლა. თოფები და ტყვის მტყორცნელები ერთსა და იმავე დროს ვარდებოდა. მტერი მოიქანცა, მაგრამ იაპონელთაგან გორაკზე 950 მეტრის სიშორეზე დადგმულ საალყე ზარბაზნების ცეცხლმა უმეტესი ნაწილი რუსის ქვეითა ჯარისა გაანადგურა. ვინც გადარჩა, უმთავრეს სიმაგრისაკენ დაბრუნდა. იაპონელებმა ახალი ჯარი გამოიყვანეს და გაამაგრეს ის საჭირო პოზიციები, რისთვისაც განწირულ მსხვერპლთა გროვა ზოგგან ერთ მეტრ-ნახევრის სიმაღლეზე ერთმანეთზე დაყრილი. მეციხოვნე ჯარი რაზმებს რაზმებზე ჰგზავნიდა ურიცხვ მტრის წინააღმდეგ. სანგრები, რომელიც ერლუნგშანის მიდამოებს დაჰყურებენ, რუსებმა დაიჭირეს, მაგრამ ხელ-ახლა დაჰკარგეს, რადგან იაპონელებს მეტი ჯარი ჰყავთ, ერთ რუსზე 50 იაპონელი მოდის. მეციხოვნე ჯარი ციხის შუაგულისაკენ წავიდა. გემები ნავთ-სადგურის აღმოსავლეთ ნაწილში გადაიყვანეს. 16 ოქტომბერს იაპონელებმა მიაღწიეს ერლუნგშანის დასავლეთ ფორტს და მივიდნენ ძიგუშანის ჩრდილოეთ ფორტის თხრილთანა და შუა-გულ ძიგუშანის სიმაგრის კედლებს.

პეტერბურგი. კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწედ დაინიშნა ყუბანის ოლქის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი მალამა, — დაინიშნენ: ვიტებსკის გუბერნატორი ჩეპელევსკი მინისტრის საბჭოს წევრად; კოვნოს ვიცე-გუბერნატორი გერშაუფელოტოვი — ვიტებსკის გუბერნატორად; ტუ- [illegible] გუ ვილნ —მინს ლადა; ვილნ [illegible] მძღოლი გრაფი ტატიშჩევი — კოვნოს ვიცე-გუბერნატორად. — გადაუყვანილ იქმნა მინსკის ვიცე გუბერნატორი ხვოსტოვი — ტულის ვიცე-გუბერნატორად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჟაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 26 ოქტომბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,85
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,25
ბერლინისაზე „	46,25
პარიზისაზე „	$37{,}52^1/2$
ბირჟის დისკონტი	6-$7^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$91^7/_8$ გაყ
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	416
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	318
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	$266^1/_4$
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ	$89^5/_8$
$4^1/_2$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	240 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამზაბ:თ:ვ-ბით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 10 ს.(10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს, 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ალხო ბიბლიოთეკები

ხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.

ა არის დილით 10—2 საათ.

„ საღამ. 5—7 „

კვირა-უქმე—დილ. 11—1 „

2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.

ღია არის დილით 10—2 საათ.

„ საღამ. 5—9 „

3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 1

ღია არის დილით 10—2 საათ.

„ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი სა ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, ლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტ ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქ., სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქ ზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სა ლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო ყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო მყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ლიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზნასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ად. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ადა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისიგე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	30
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ჯვანგულოვისა	1	—

ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოების

„შრომ“-ის

საბჭოს პატივი აქვს აუწყოს თავის წევრთ და აგრეთვე ყველას, ვისაც სურს ჩაეწეროს წევრად და ან აინტერესებს ამ საზოგადოების გარემოების შეტყობა, რომ კვირას, 7 ნოემბერს ამა წელს დილის $10^1/_2$ საათზედ დანიშნულია **საზოგადოების კრება ქუთაისის** ქალაქის საბჭოს დარბაზში. (6.—3)

ახალი საუმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(0—9.16)

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „**НАКАДУЛИ**“

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

ვ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და შეფუთვის, ბითლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნებისა. ტელეფონი № 679. (0—178)

Дозволено цензурою, 28 октября 1904 г.

სტამბა „წიგნების გამოშც. ქართვ. ამხ—სა“.

Электроп. „Груз. Изд.—Тва“.